გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№5 (1646) 15 — 21 თებერვალი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მიზანია, საქართველო ვაქციოთ ნამდვილ, მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად“

რაზე ისაუბრა საქართველოს პრემიერმა დუბაიში გამართულ მსოფლიოს მთავრობათა სამიტზე

პუტინის თებერვლის სისხლიანი ვნებები

რატომ მოუწოდებენ დასავლეთის ქვეყნები საკუთარ მოქალაქეებს რუსეთისა და ბელარუსის დატოვებას

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„ხაბეიშვილი ცუდად დაამთავრებს“

რატომ აღარ უნდა ვუწოდოთ ენმ-ს მთავარი ოპოზიციური პარტია – ინტერვიუ გია ხუხაშვილთან

„ომი გაზაფხულსა და ზაფხულში არ დასრულდება“

უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთწლიანი ქრონიკა – ირაკლი ალადაშვილის შეფასებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება ქალაქ ბათუმში, ზღვაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, მათ შორის, მეხანძრე-მაშველები, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები. ასევე, ადგილზე იმყოფებიან გამნაღმველებიც.

ამ დროისთვის ტარდება ყველა საჭირო ღონისძიება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც აფეთქებას გულისხმობს.

რუსთავში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი თბილისის შემდეგ, ქალაქ რუსთავშიც ამოქმედდა.

რუსთავში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში, მართლწესრიგის 19 ოფიცერი მუშაობას უკვე შეუდგა.

ოფიცრები საკონკურსო წესით შეირჩნენ. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეკვირიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა გურამ ნაცვლიშვილმა მიულოცეს.

მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ მართლწესრიგის ოფიცრებს სიტყვით მიმართა და მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში წარმატება უსურვა.

შალვა ბედოიძემ მართლწესრიგის ინსტიტუტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია. მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთი მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში ასევე შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცერთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გაიზრდება და ინსტიტუტი ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედდება.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, მინისტრის პირველმა მოადგილემ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ „112“-ის თანამშრომლები დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის თანამშრომლებს 112-ის დღე პირადად მიულოცა. მინისტრის მოადგილეს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა, მოადგილეებთან ერთად უმასპინძლა.

112-ის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შს მინისტრის მოადგილემ ცენტრის ოთხი თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის შინაგან საქმეთა მინისტრის მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

„112“-ის დღე 2009 წლიდან აღინიშნება. ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 11 თებერვალი „112“-ის დღედ გამოაცხადეს. ეს დღე, მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად, საქართველოშიც აღინიშნება.

ვახტანგ გომელაურმა თურქეთის საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში იმყოფებოდა. ვახტანგ გომელაურმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ალი ქაან ორბაის, თურქეთის რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგად მომხდარი ტრაგედიის გამო, პირადად მიუსამძიმრა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თურქეთის საელჩოში კომენტარი გააკეთა მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით და თურქ ხალხს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

„პირველ რიგში, მინდა, ღრმა მწუხარება გამოვხატო და სამძიმარი ვუთხრა ჩვენს მეგობრებს, ჩვენს ძმებსა და დებს – თურქ ხალხს, თურქეთის მთავრობას. ძალიან დიდი უბედურება მოხდა. იმ დილითვე, ბატონი პრემიერისგან მივიღეთ დავალება, მოხდა მობილიზება ჩვენი მაშველების, 60 ადამიანი იქნა თავისი აღჭურვილობით გაგზავნილი თურქეთში, შემდგომ, მეორე დღეს, კიდევ 40 ადამიანი დაემატა და დღეს, ჩვენი 100 მაშველი ადგილზე მუშაობს. საბედნიეროდ, 3 ადამიანი გადაარჩინეს, ცოცხალი ამოიყვანეს ნანგრევებიდან, 21 კი დაღუპული იყო. ისინი ახლაც მუშაობენ. მაქსიმალურად ბოლომდე ვიქნებით მათ გვერდში, სანამ საჭირო იქნება ჩვენი დახმარება“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადება

გვსურს, გამოვეხმაუროთ საინფორმაციო სააგენტო „მთის ამბების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს ქვეშეთი-კობის გვირაბში გარდაიცვალა და დაშავდა რამდენიმე მუშა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ საინფორმაციო სააგენტო „მთის ამბებში“ განთავსებული სტატიის ავტორი დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის წარმომადგენელს, რომელმაც განუმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, „მთის ამბებში“ გამოქვეყნდა სტატია, ქვეშეთი-კობის გვირაბში მხუთავი აირის შედეგად მუშების დაღუპვისა და დაშავების შესახებ.

როგორც ცნობილია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ არ დაადასტურა ქვეშეთი-კობის გვირაბში მხუთავი აირის შედეგად მუშების გარდაცვალებისა და დაშავების ფაქტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდენს რეაგირებას.

პუტინის თებერვლის სისხლიანი ვნებები

ნინო დოლიძე

24 თებერვალი, ესე იგი, უკრაინაში პუტინის შეჭრის ერთი წლისთავი ახლოვდება. შესაბამისად, ვოლოდიმერ ზელენსკისა და ასევე, მთელ ცივილურ მსოფლიოს მოლოდინი აქვს, რომ კრემლის დიქტატორი უკრაინაზე მძლავრ იერიშს მიიტანს. შეშლილი ფსიქოპათისგან გამორიცხული არაფერია, თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზუსტად 24-ში, ვლადიმერ ვლადიმერის ძე ე.წ. ლუჟნიკის სტადიონზე, სადაც კონცერტი უნდა გაიმართოს, 200 ათასი (ამ ციფრს რუსული მედია ავრცელებს) ადამიანის წინ სიტყვით წარსდგება. მოგეხენებათ, პუტინი ფართო საზოგადოებაში გამოჩენას ერიდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პლანეტაზე კოვიდი გამოჩნდა. ჰოდა, საინტერესოა, რატომ გარისკავს 24-ში, ან რას ეტყვის ხალხს?

რატომ მოუწოდებენ დასავლეთის ქვეყნები საკუთარ მოქალაქეებს რუსეთისა და ბელარუსის დატოვებას

ზოგადად, პუტინს მომხრეები რუსეთშიც ჰყავს და, სამწუხაროდ, რუსეთს გარეთაც, მაგალითად, პუტინელები საქართველოშიც არიან, მაგრამ ისიც არ არის დასამალი, რომ იგივე რუსეთში, საღად ბევრი აზროვნებს და უკრაინასთან ომს არათუ ამართლებს, არამედ, გვახსოვს, მასობრივი მობილიზაციის პირველი ტალღა რომ გამოცხადდა, ჩვენი ქვეყნის საზღვარს უამრავი რუსი მოაწყდა. ილუზია, რომ ამ რუსებში სპეცსამსახურების წარმომადგენლები არ იყვნენ, არავის აქვს, მაგრამ ფაქტია – რუსეთის ბევრი მოქალაქე, სწორედ პუტინს გამოექცა, თუმცა დიქტატორი რისი დიქტატორია, ხალხს მოუსმინოს. ამიტომაც, პუტინი, ალბათ, შეეცდება, რომ თავისი უძლეველობა, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს დაუმტკიცოს. საამისოდ კი ე.წ. ბატალური სცენები სჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი „ბატალური სცენა“, შესაძლოა, ის ინფორმაცია იყოს, რომელსაც ნორვეგიის დაზვერვა ავრცელებს.

კერძოდ, ნორვეგიის დაზვერვა იუწყება, რომ ტაქტიკური ბირთვული იარაღით შეიარაღებული ჩრდილოეთ ფლოტის რუსული საბრძოლო ხომალდები ზღვაში შევიდნენ.

დაზვერვის ინფორმაციითვე, 30 წლის განმავლობაში, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ეს ბირთვული რაკეტებით შეიარაღებული ხომალდების ზღვაში შესვლის პირველი შემთხვევაა.

„რუსეთის მუდმივი სამხედრო ძალები საგრძნობლად დასუსტდნენ უკრაინის ომის შემდეგ. ამავდროულად, მათი დიდი ნაწილი ამ დრომდე ომშია ჩართული... მეორე მხრივ, რუსეთის ბირთვული შესაძლებლობები კვლავ იგივეა, რაც ომამდე იყო. რეგულარული არმიის ძლიერად დასუსტების ფონზე, რუსეთისთვის ბირთვული იარაღის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა ბოლო პერიოდში“, – ვკითხულობთ დაზვერვის ანგარიშში.

მაშასადამე, გამოდის, რომ პუტინმა რაღაც ჩაიფიქრა, მაგრამ რა?

ეს რიტორიკული კითხვაა, თუმცა საფრთხის არსებობას სხვა გარემოებაც ამძაფრებს. კერძოდ, აშშ-მ რამდენიმე დღის წინ, საკუთარ მოქალაქეებს რუსეთის დატოვებისკენ მოუწოდა. ამასთან, ანალოგიური მოწოდებით დასავლეთის სხვა ქვეყნებიც გამოვიდნენ და საკუთარ მოქალაქეებს მხოლოდ რუსეთის კი არა, ბელარუსის დატოვებაც მოსთხოვეს.

რატომ? – ამ კითხვაზე მეტ-ნაკლებად ამომწურავ პასუხს ანალიტიკოს ზურაბ ბატიაშვილის „ფეისბუქპოსტი“ სცემს:

„სხვადასხვა ვერსია იყო გამოთქმული, თუ რატომ მოუწოდებენ დასავლეთის ქვეყნები საკუთარ მოქალაქეებს დატოვონ ბელარუსის ტერიტორია. მე აქ დავწერ, რომელი ვერსია მიმაჩნია უფრო ლოგიკურად:

ლუკაშენკომ კუხოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე არაორაზროვნად განაცხადა, რომ უკრაინისა და დასავლეთის წინააღმდეგ ომში გვერდით ვერავინ გადგება. თან ლუკაშენკო დარწმუნებით ამბობს, რომ რუსეთი გაიმარჯვებს. აქ არ დაგვავიწყდეს „ოცნების“ „შემთხვევითი“ განცხადებებიც, თითქოსდა, რუსეთი იმარჯვებს.

ეს, ალბათ, მხოლოდ განცხადებები არაა და ბელარუსის მხრიდან შესაბამისი სამზადისის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციაც ექნებათ დასავლეთის ქვეყნებში.

დასავლეთში კი მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ ომში უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს. მოწოდება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რომ სასწრაფოდ გამოვიდნენ ბელარუსიდან, ლუკაშენკოს მისამართით გაკეთებული მკაფიო მინიშნებაა, რომ თუ მას იარაღზე ხელი წაუცდა, ან ისევ საკუთარი ტერიტორია გამოაყენებინა რუსეთს უკრაინაზე თავდასასხმელად, მაშინ დაიბომბება ბელარუსის ტერიტორია, ან შეიძლება, სულაც სამხედრო მოქმედებები დაიწყოს იქ.

და აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, ეს უკრაინიდან მოხდება, თუ სხვა ადგილიდან.

ვნახოთ, უახლოეს ხანში გამოჩნდება, რამდენად გაითვალისწინებს ლუკაშენკო ამ გაფრთხილებას.

მეორე – 24 თებერვალს, მეორე ბუჩას და ირპენს აღარავინ დაუშვებს!

უკრაინა გაიმარჯვებს!“

ღმერთმა ქნას, ქართველი ანალიტიკოსის პროგნოზი ახდეს და მსოფლიომ მეორე ბუჩა და ირპენი აღარ დაუშვას, მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტია – თებერვალში პუტინს სისხლიანი ვნებები ეძალება ხოლმე.

დრო აჩვენებს, მსოფლიო ამ ვნებებს ჩააცხრობს, თუ ვერა...

„ომი გაზაფხულსა და ზაფხულში არ დასრულდება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთწლიანი ქრონიკა – ირაკლი ალადაშვილის შეფასებები

24 თებერვალს ერთი წელი ხდება, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალები უკრაინას თავს დაესხნენ. უკრაინის გენშტაბის ინფორმაციით, ადგილობრივმა ძალებმა 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 12 თებერვლამდე, დაახლოებით, 137 780 რუსი ჯარისკაცის ლიკვიდაცია მოახდინეს. ამასთან, დიდია რუსეთის ზარალი სამხედრო და საბრძოლო ტექნიკის მხრივაც... რუსეთ-უკრაინის მასშტაბური ომის ერთ წელს „ვერსიასთან“ სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი, ირაკლი ალადაშვილი აფასებს:

– ათიოდე დღეა დარჩენილი ერთი წლის შესრულებამდე რუსეთ-უკრიანის ომის დაწყებიდან და ამ ათ დღეში, შეიძლება, ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდეს. რადგან რუსეთის ხელისუფლებას ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდში, ახლაც უყვარს, გარკვეულ თარიღზე მიბმა კონკრეტული მოქმედებების. ახლა არის საფრთხე, რომ პუტინმა მოინდომოს 24 თებერვლისთვის...

– მასირებული შეტევა უკრაინაზე?

– დიახ. არის ამის საფრთხე, ოღონდ, რა მიმართულებით, რთულია ამის გამოცნობა. ახლა, ძირითადად, სამი მიმართულებით მიდის აქტიური ბრძოლა – ბახმუტის, კრემენნოესა და უგლედარის.

– ბატონო ირაკლი, აშშ-ის გენერალ-მაიორ ჩაპმანთან ინტერვიუ გამოაქვეყნა „რადიო თავისუფლებამ“, სადაც ჩაპმანი სწორედ ამ მოსალოდნელ მასშტაბურ შეტევაზე საუბრობს, მაგრამ ხაზს უსვამს ამინდის ფაქტორს... ასევე, ცნობილია, რომ პუტინმა თავის შეიარაღებულ ძალებს მარტის ბოლომდე მისცა ვადა ლუგანსკი-დონეცკის დაკავებისთვის...

– ომი რომ დაიწყო, პუტინმა დავალება გასცა, რომ 3-დან 7 დღის განმავლობაში, უკრაინის დედაქალაქი უნდა აეღოთ. მაშინ თავდასხმა მოხდა 9 მიმართულებიდან და პუტინს იმედი ჰქონდა ისევე, როგორც თავის დროზე, ჰიტლერს, ბლიცკრიგის ოპერაციის, მაგრამ ჩაეშალა ეს გეგმა და იძულებული გახდა, გამოეყვანა საოკუპაციო ძალები კიევიდან, ჩერნიგოვიდან, ბუჩადან და მოგვიანებით ხერსონიდანაც, რადგან ძალების კონცენტრაცია მოახდინა აღმოსავლეთ ნაწილში. ახალ წლამდეც გასცა დავალება, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალები უნდა გასულიყვნენ დონეცკის ადმინისტრაციულ საზღვრებამდე, მაგრამ ვხედავთ, რომ 3 აგვისტოდან უტევენ ბახმუტს და ნახევარი წელია, ვერ აიღეს ეს პატარა ქალაქი. ამიტომ, მარტის ბოლომდე ეს დავალება შესრულდება.

რაც შეეხება ამინდს, ზამთარი თითქმის გავიდა. ეს ზამთარი არ იყო მკაცრი, მაგრამ ახლა ყინვები დაიწყება უკრაინაში. ყინვას მნიშვნელობა აქვს მძიმე ჯავშანტექნიკის გადაადგილების თვალსაზრისით. უკრაინაში, ძირითადად, სტეპებია და გზაზე გადაადგილებისას, უფრო ადვილია მოწინააღმდეგის კოლონების მწყობრიდან გამოყვანა, რაც უკრაინელებმა ახლა დაამტკიცეს, როცა უგლედარს უტევდნენ რუსული ჯავშან-კოლონები, უკრაინელებმა საოცარი საბრძოლო ეფექტიანობა გამოიჩინეს და 30 წუთში, 30 ტანკი და ჯავშან-მანქანა აუფეთქეს რუსებს. თუ ნიადაგი 20-30 სანტიმეტრზე გაიყინება, ეს შესაძლებლობას იძლევა, მძიმე ტექნიკამ მარტივად იაროს არა მხოლოდ ტრასაზე, არამედ ველზეც. მოკლედ, ვინც შეტევაზე გადადის, მისთვის უკეთესია ყინვა.

არ მოველი, რომ ამ პერიოდში დიდი მასშტაბის შეტევა მოხდება. ვფიქრობ, რომ ეს უფრო მოსალოდნელია გვიან გაზაფხულზე, ზაფხულის დასაწყისში, როცა გამოშრება ნიადაგი. იმ პერიოდში რუსეთიც დამატებით ძალებს გააძლიერებს, უკრაინას დასავლეთი აღირსებს და მისცემს ტანკებსა და სხვა შეიარაღებას შეტევისთვის და ესკალაცია ორივე მხრიდან ახლა თუ არ მოხდა, სანამ გაყინულია ნიადაგი, მოსალოდნელია აპრილის ბოლოს.

– როცა საუბრობთ რუსეთისგან მოსალოდნელ მძლავრ შეტევაზე, რას გულისხმობთ – ეს შეიძლება ამ ომის გარდამტეხი იყოს ანუ შეიძლება, ისეთი ძალით შეუტიოს რუსეთმა, რომ ვეღარ გაუძლოს უკრაინამ?

– არ მგონია, ასე მოხდეს, რადგან რასაც ვხედავთ, თუ რამდენ ხანს მიმდინარეობს ბრძოლები ბახმუტთან, რუსებსაც ხომ აკლდებათ ძალა, მით უმეტეს, ვინც უტევს, მას მეტი დანაკარგი აქვს – ომის კანონი ასეთია. ამიტომაც, რუსეთი უზარმაზარი რაოდენობის ჭურვებსა და რაკეტებს ხარჯავს...

– აქვე ხაზგასასმელია – ზალუჟნიმ განაცხადა, რომ უკრაინამ ბახმუტზე კონტროლი აღიდგინა...

– იქ რთული სიტუაციაა. ბახმუტი ოპერატიული ალყის საშიშროების წინაშეა და ეს თუ განხორციელდა, მოხდება ის ტრაგედია, რაც იყო მარიუპოლში. ბოლომდე იბრძოლეს უკრაინელებმა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. იმედია, აქ იგივე არ მოხდება და თუ მაინც მივა საქმე ბახმუტის დაკარგვამდე, დამცველი ჯარის ორგანიზებულად გამოსვლა სჯობს მაქსიმალურად ნაკლები დანაკარგით და ამ ქალაქის დათმობა, რადგან მთავარია არა ტერიტორია, არამედ უკრაინის დამცველების სიცოცხლე და საბრძოლო ტექნიკის გადარჩენა. არმია თუ განადგურდა, ნებისმიერ ქალაქს აიღებენ რუსები.

– გენერალ-მაიორი ჩაპმანი ასევე აცხადებს, რომ ეს იქნება ომი გამძლეობაზე და რუსეთი უკრაინელების ნებისყოფის გატეხვას ცდილობს ენერგო და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების, ქალაქების დაბომბვით. როგორ ფიქრობთ, გაუძლებს უკრაინელი ხალხი ამ ზეწოლას?

– დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ომი არის გამძლეობაზე. ეს არის რესურსების ომი. თუ დააკვირდებით, რუსების სარაკეტო თავდასხმები ხორციელდება ზურგში, ძირითადად, ინფრასტრუქტურასა და ქალაქის მაცხოვრებლებზე. სამხედრო ნაწილებს და აეროდრომებს რომ დაარტყას, აზრი არ აქვს, რადგან დაცულია ეს ობიექტები. ამიტომ, ძირითადად, თავს ესხმიან მშვიდობიან მოქალაქეებს, რადგან ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ ქალაქში რთულია გაძლება. სწორად აღნიშნეთ, იმიტომ ბომბავენ მოსახლეობას, რომ მათ ეთქვათ უკრაინის ხელისუფლებისთვის, გვეყო ომი, წადით მოლაპარაკებაზეო, თუმცა ხალხმა ამ ზამთარს გაუძლო, მით უმეტეს გენერატორები უკრაინას გაუგზავნეს...

– ბატონო ირაკლი, დასავლეთის დახმარებაზე საუბრობდით და ცოტა ხნის წინ დაასრულა პრეზიდენტმა ზელენსკიმ ევროპული ტურნე, დიდი ბრიტანეთი-საფრანგეთი-გერმანიის ლიდერებს შეხვდა. შესაძლოა, ეს იყო პოლიტიკური სვლა რუსეთისგან მოსალოდნელი მასშტაბური შეტევის წინ? რა მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებას ელოდება უკრაინა დასავლეთისგან უახლოეს მომავალში?

– ომის დაწყებისას, არც რუსეთი და არც დასავლეთი არ ელოდა, რომ უკრაინა ამდენს შეძლებდა. უკრაინელებმა დასავლეთს უთხრეს – სისხლი ჩვენი, იარაღი თქვენიო ანუ უკრაინელები გმირულად იბრძვიან, მაგრამ დასავლეთიდან იარაღის მიღების კონტექსტში არის რაღაცები, რაც ზოგჯერ გაკვირვებას და გაბრაზებასაც იწვევს. დასავლეთისგან დახმარება დიდია, აშშ-ის მიერ ამ ერთ წელში 30 მილიარდზე მეტია გაწეული დახმარების სახით. ნატო-ს გენერალურმა მდივანმაც ხომ თქვა, 120 მილიარდ დოლარამდე დახმარება გაიცემაო, თუმცა ტანკების გადაცემასთან დაკავშირებული იწილო-ბიწილო... დასავლური ბიუროკრატია აფერხებს ამ პროცესს. „ჰაიმარსებზეც“ აწვალეს უკრაინა და ბოლოს მისცეს. ვნახეთ, რომ ამან გადატრიალება მოახდინა, რუსები იძულებულები გახდნენ, იარაღის საწყობები ფრონტის ხაზიდან 100 კილომეტრით უკან გადაეტანათ, რამაც გაართულა მათი მომარაგება ფრონტის ხაზზე. ამიტომ ითხოვს უკრიანა შორი მოქმედების რაკეტებს, ამის სანაცვლოდ პირობას დებენ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე არ გამოიყენებენ, არამედ მხოლოდ ოკუპირებულ ყირიმში.

– კულებას განცხადებით, 24 თებერვალს დასავლეთი ახალ სანქციებს გამოუცხადებს რუსეთს... საინტერესოა, რა შედეგი გამოიღო რუსეთის მიმართ დაწესებულმა პოლიტ-ეკონომიკურმა სანქციებმა?

– ამ სანქციებმა შედეგი უკვე გამოიღო. ფინანსური პრობლემები უკვე გამოუჩნდა რუსეთს იანვარში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ უზარმაზარი ქვეყანაა და ნავთობს ყიდის, ასე მარტივი არ არის... ამასთან, ირღვევა ეს სანქციები, რაზეც მეტყველებს რუსეთში ომის დროს დამზადებულ საბრძოლო ტექნიკაში დასავლური წარმოების ჩიპების აღმოჩენა. მიუხედავად ამისა, რუსეთს უჭირს ჭკვიანი იარაღის წარმოება, რადგან ნელ-ნელა მკაცრდება სანქციები ამ მხრივ. ფინანსური პრობლემა ყველა შემთხვევაში შეექმნება, რადგან 300 ათასი კაცი გაიწვია, მილიონზე მეტი კი გაიქცა ქვეყნიდან, რომ მობილიზებაში არ მოჰყოლოდა. გაწვეულებს 190 ათას რუბლს უხდის თვეში და ეს ხალხი სამუშაოსაც ხომ მოწყდა? ასე რომ, რუსეთს პრობლემები ექმნება. დასავლეთის ინტერესებშია, რომ ეს პროცესი გაიწელოს, რამაც რუსეთის სერიოზული ეკონომიკურ-პოლიტიკური დეგრადაცია უნდა გამოიწვიოს.

ახლა რასაც ვხედავ, არ მგონია, ომი გაზაფხულსა და ზაფხულში დასრულდეს. თუ დასავლეთმა დააჩქარა სამხედრო დახმარების გადაცემა, პროცესი უფრო დაჩქარდება, მაგრამ სერიოზული ომი იქნება დიდი მსხვერპლით.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ხაბეიშვილი ცუდად დაამთავრებს“

რატომ აღარ უნდა ვუწოდოთ ენმ-ს მთავარი ოპოზიციური პარტია – ინტერვიუ გია ხუხაშვილთან

საქართველოს რეგიონებში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით აქციების ციკლი დაიწყო. პარტიის ახალი თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის ინიციატივით, საპროტესტო გამოსვლები თითქმის ყოველდღიურად გაიმართება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მასშტაბური აქციით დედაქალაქში გაგრძელდება. „ვერსია“ ენმ-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და მოსალოდნელ პოლიტიკურ პროცესებზე ანალიტიკოს გია ხუხაშვილს ესაუბრა, რომელიც ახლადარჩეულ თავმჯოდომარეს ნაციონალურ მოძრაობაში პოლიტიკურ წინსვლას, რბილად რომ ვთქვათ, არ უწინასწარმეტყველებს...

– ბატონო გია, როგორ აფასებთ მთავარ ოპოზიციურ პარტიაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?

– ვფიქრობ, წავიდა დრო, როცა ნაციონალურ მოძრაობას მთავარი ოპოზიციური პარტია ერქვა და კარგი იქნება, თუ ამ ტერმინს არ გამოვიყენებთ.

– ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპიზიციური პარტიაა...

– ეს უკვე აღარავინ იცის, რადგან პარტია ელექტორალურად აშკარად გაიყო რაღაც პროპორციით და ის სავალალო შედეგი, რაც კვლევებით ჩანს, კიდევ უფრო შემცირებულია არჩევნების შემდეგ. ამ დაპირისპირების ბაზაზე პარტია, ფაქტობრივად, დაიშალა. ეს იყო დაპირისპირება პოლიტიკურ ემოციასა და რაციონს შორის. ემოციური ანუ რწმენაზე აგებული ნაწილი დარჩა ხაბეიშვილის ორბიტაზე, რაციონალურად მოაზროვნე ნაწილი კი მოშორდა თავის პოლიტიკურ ელიტიანად, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობაზე აკეთებენ გზავნილებს.

რაც შეეხება შექმნილ კონფიგურაციას, ძალიან სასაცილოა, რადგან ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების მთავარ მანკიერებად ე.წ. ჩრდილოვან მმართველობას ასახელებს და ეს თავის პარტიაში დაამკვიდრეს, თან საკმაოდ ოდიოზურად, რადგან ბიძინა ივანიშვილს, ცუდია თუ კარგი, გარკვეული წონა და რესურსი აქვს. ენმ-ის „ჩრდილოვანი მმართველები“ კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან შორს არიან ბიძინა ივანიშვილის რესურსებისგან.

– თავმჯდომარის პოსტზე ლევან ხაბეიშვილის კანდიდატურას როგორ აფასებთ?

– ხაბეიშვილი, თავის მასშტაბით, პოლიტიკური აზროვნებიდან გამომდინარე, ასევე, საგარეო იმიჯის გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან სადავო ფიგურაა. არ მგონია, რომ მასთან თანამშრომლობის დიდი სურვილი ჰქონდეთ სხვა პარტიებს ან დიპლომატიურ კორპუსს, მისი პოლიტიკური წარსულიდან ან დღევანდელი განცხადებებიდან გამომდინარე – ისევ კუნთებზე ყურება, ქუჩა და ა.შ. პოლიტიკური იდეა და გეგმა მის უკან არ დგას. მხოლოდ მყვირალა, წმინდა პოპულისტური გზავნილები, კუნთების თამაში და ტყუილი დაპირებები, მეტი არაფერი... აქედან გამომდინარე, ენმ ძალიან მძიმე დღეში ჩავარდა ახალი მენეჯმენტის პირობებში, რაც დროთა განმავლობაში, კიდევ უფრო გამოჩნდება.

– რასაც ხაბეიშვილზე ამბობთ, ეს, თქვენი აზრით, მერაბიშვილ-კეზერაშვილმა ვერ გათვალეს, თუ განგებ შეარჩიეს მსგავსი კანდიდატურა, გარკვეული მოტივებით?

– მათი ამოცანა იყო პარტიაზე ან მის ნარჩენებზე კონტროლის დამყარება, რადგან ასეა თუ ისე, ეს პარტია არის აქტივი, რომლითაც მინიმუმ, ვაჭრობა შეიძლება, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილთანაც, რატომაც არა... შესაბამისად, არ მგონია, ისინი ისე ბრიყვები იყვნენ, რომ არ ესმოდეთ, რამხელა დანაკარგი განიცადა პარტიამ, მაგრამ რაღაც მაინც ხომ შერჩათ ხელში? მათი თვალთახედვით რომ შეხედოთ, ლოგიკურია, რადგან როცა აფინანსებ პარტიას, ინვესტიციას დებ, „მუსიკის შეკვეთაც“ გინდება... შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ დამსახურებულად მიიღეს ის, რაც მიიღეს. არ მგონია, რომ დიდი რაღაც შერჩათ ხელში, მაგრამ ესეც რაღაცაა მათთვის.

– ნიკა მელიამ ენმ-დან თავის გუნდი რომ წაიყვანოს და ცალკე პარტია შექმნას, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის დიდ ნაწილს გადაქაჩავს?

– არ მგონია, რადგან ნაციონალური მოძრაობა ისევე, როგორც „ქართული ოცნება“, „რელიგიურ“ საწყისებზეა აგებული. „ქართული ოცნების“ ძირითადი ნაწილი კონსოლიდირებულია ბიძინა ივანიშვილის „მითოლოგიის“ ირგვლივ ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობა – მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ, მაგრამ გარკვეული დანაკარგი 20-30%-ის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არის და ეს სერიოზული აქტივია... მელია ცალკე მოახდენს ამ აქტივის კაპიტალიზაციას თუ რომელიმე სხვა პოლიტიკურ გუნდს დაუკავშირებს საკუთარ მომავალს, ძნელი სათქმელია. ის, რომ ამ პარტიაში მელიას ადგილი აღარ არის, ცალსახაა და დროის ამბავია. სხვა საკითხია, რომ მეყსეულად არ გამოუცხადებია პარტიიდან წასვლის შესახებ და არასერიოზულიც იქნებოდა – „არჩევნები წავაგე და წავედი“, არ იქნებოდა ეს ლამაზი, თუმცა ფაქტობრივად, ის უკვე წასულია. უბრალოდ, უნდა მოხდეს რაღაც მოვლენა, რითაც ახსნის პარტიიდან გამიჯვნის მოტივს. ექნება იმის რესურსი, რომ ცალკე პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბოს, თუ რომელიმე არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეუერთდება, ამას დრო აჩვენებს...

– ბატობო გია, მნიშვნელოვანია მიხეილ სააკაშვილის ფატქორიც ამ პროცესში... ხაბეიშვილი, არჩევნებამდე გამოიკვეთა, როგორც სააკაშვილის მხარდამჭერი კანდიდატი, მელიასგან განსხვავებით... ასეც აგრძელებს ხაბეიშვილი, მისი საუბრის მთავარი თემა სააკაშვილის განთავისუფლებაა ...

– სხვა აქტივი არ აქვს, ეს არის წმინდა წყლის სპეკულაცია, რადგან ყველას კარგად ესმის, რომ ხაბეიშვილი იმაზე მეტს ნამდვილად ვერ გააკეთებს სააკაშვილის გასათავისუფლებლად, რასაც მელია აკეთებდა.

– კი, მაგრამ ხაბეიშვილმა პერმანენტული აქციები დაიწყო ამ მოთხოვნით...

– კი, მაგრამ, რაა... აქციები არ გვინახავს, ოდესმე, ამ აქციებს შედეგი მოჰყოლია, თუ რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს აქციები ეფექტური იქნება, მით უმეტეს, განახევრებული პარტიის პირობებში?.. ასე რომ, ყველაფერი ეს იმიტაცია, ყალბი პროცესია, მაგრამ მეორე მხრივ, თავისივე დაპირებების მძევალია ხაბეიშვილი. რა უნდა ქნას? რაღაც მოძრაობების იმიტაცია უნდა შექმნას. შედეგი იქნება ნულოვანი და შესაბამისად, ეს პროცესი ხაბეიშვილის მიმართ დიდი იმედგაცრუებით დასრულდება. ხაბეიშვილი ცუდად დაამთავრებს ამ პარტიის მხარდამჭერებისგანაც. ჩვენ მალე ვნახავთ დროს, როცა მის მიმართ სიყვარული, მისი გინება-ლანძღვით შეიცვლება, როცა შედეგს ვერ დადებს და შედეგს რომ ვერ დადებს, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ცხადია.

– შესაძლებელია, რომ ახალი არჩევნების საჭიროება დადგეს პარტიაში და ენმ-ის პოლიტიკური კონფიგურაცია შეიცვალოს?

– პარტიაში კრიზისი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, არ დამთავრებულა.

– ბატონო გია, მიგაჩნიათ, რომ ენმ-ში განვითარებულმა მოვლენებმა უფრო გაუზარდა კომფორტის ზონა ხელისუფლებას?

– ტაქტიკური თვალსაზრისით – კი, ხელისუფლებამ წარმატებას მიაღწია, მაგრამ სტრატეგიულად, ვფიქრობ, დისკომფორტი ექმნება, რადგან ხელისუფლების პოლიტიკური სტრატეგია აგებული იყო ორპოლუსიანობაზე, ყველა თავის ოპონენტს ნაციონალური მოძრაობის ორბიტაზე გადაქაჩავდა და შემდეგ ძირავდა. ამ „შუას გაკრეფის“ კუთხით, ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა ექმნება, რადგან ნაციონალური მოძრაობისგან მთავარი „ბუას“ შექმნის ტექნოლოგია აღარ იმუშავებს და პროცესი მიიღებს მულტიპარტიული პოლიტიკური პროცესის სახეს, რაც ხელისუფლებისთვის არ იქნება კომფორტული.

– ანუ, ნაციონალური მოძრაობის დასუსტების ფონზე, იქმნება ნიადაგი სხვა ოპოზიციური პარტიების გაერთიანება-გაძლიერებისთვის?

– არა, საერთოდ არ მიმაჩნია, რომ ეს მექანიკური გაერთიანებები რამეს მომცემია. პირიქით, მულტიპარტიული პოლიტიკური პროცესის შანსი იქმნება ანუ ბევრი პოლიტიკური ცენტრი შეიძლება მივიღოთ, რაც ხელისუფლებისთვის კომფორტული იმიტომ არაა, რომ ფრონტის ხაზის გატარება გაუჭირდება. ორპოლუსიანობის გარეშე, პროპაგანდისტული ხაზის გამოკვეთაც ძნელია, რამდენ ფრონტზე უნდა იბრძოლო? აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღების თვალსაზრისით, ნაციონალური მოძრაობის გახლეჩვა მხოლოდ სასარგებლოა.

– ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით, რა გადაწყვეტილების მიღება იქნება ყველაზე მართებული – შესაძლოა, თუ არა სააკაშვილის ფაქტორი გახდეს გადამწყვეტი პოლიტიკური ვითარების შეცვლისა?

– ხელისუფლებას, სააკაშვილთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, კომფორტი აქვს, მეორე მხრივ – დისკომფორტი. ხელისუფლებას არ აქვს კარგი გამოსავალი. გაუშვებენ – ვაია, არ გაუშვებენ – ვუი... იმდენად ღრმად შეტოპეს, რომ გამოვაჭრებაც აღარ შეუძლიათ ამ თემასთან დაკავშირებით.

დროა, რომ სააკაშვილის თემა იყოს განხილული წმინდა ჰუმანიტარული კუთხით, ყოველგვარ პოლიტიზირებას, ან სამართლებრივ კუთხეზე საუბარს აზრი არ აქვს. ხელისუფლების სახის შესანარჩუნებლად ეს იქნება ყველაზე სწორი გზა – უნდა შედგეს კონსილიუმი, რომელშიც შევლენ მხოლოდ ის ექიმები და სპეციალისტები, რომლებიც ყველა მხარის ნდობით სარგებლობენ. ამ კონსილიუმის დასკვნა უნდა გახდეს უპირობო. სხვა ჭრილში, იმდენად გადაღეჭილია ეს თემა, რომ ყველა იღებს ზიანს, სარგებელს აქედან აღარავინ ნახულობს. უნდა გავიგოთ, რეალურად რა მდგომარეობაშია ეს ადამიანი, სახელმწიფოა, რა თქმა უნდა, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე პასუხისმგებელი და ამ პრიზმაში უნდა შეხედონ, დაანებონ საერთოდ თავი პოლიტიკას. ეჭვი მეპარება, რომ მინიმუმ ერთი წელი, ამ ადამიანმა რამე პოლიტიკური მოძრაობები შეძლოს, ელემენტარულად, ფიზიკურ აღდგენას დასჭირდება ეს დრო. ერთი წელი მაინც დაგვასვენებს, რასაც ჰქვია... წავიდეს და თავი დაგვანებოს, ან თუ აფერისტობს, ესეც უნდა ვიცოდეთ, რაშიც ძალიან მეპარება ეჭვი, რადგან შეუძლებელია, რასაც ვხედავთ... შეიძლება, თვითდაზიანებას იყენებს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? ასეც რომ იყოს, მაინც სახელმწიფოა მის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი...

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მიზანია, საქართველო ვაქციოთ ნამდვილ, მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად“

მაკა რუხაძე

რაზე ისაუბრა საქართველოს პრემიერმა დუბაიში გამართულ მსოფლიოს მთავრობათა სამიტზე

გასული კვირის ბოლოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაემგზავრა. მაღალი დონის შეხვედრების გარდა, პრემიერი მსოფლიოს მთავრობათა სამიტშიც მონაწილეობდა, რომელიც 13 თებერვალს, დუბაიში გაიმართა. სამიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა მონაწილეებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენს, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაიანს, არაბთა გაერთიანებული საამირობის ვიცე-პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, დუბაის მმართველს, შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროები ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებს ინოვაციებისა და წინსვლის კონტექსტში. მისი თქმით, მსოფლიოს მთავრობათა სამიტი, გლობალური თანამშრომლობის მხრივ, ქვეყნის ურყევი ერთგულების დასტურია. წლევანდელი სამიტის თემა „მომავლის მთავრობათა ფორმირებაა“ და როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს განსაკუთრებით აქტუალურია ტექნოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური წინსვლის ახალი ერის მოლოდინში:

„დღევანდელ შეკრებაზე, თქვენ წინაშე, გამოვდივარ მომავლის იმედითა და ოპტიმიზმით აღსავსე, რადგან ვიცი, რომ ჩვენი გამორჩეული მასპინძლების ხელმძღვანელობით, არაბთა გაერთიანებული საამიროები გააგრძელებს სასიცოცხლო როლის შესრულებას უკეთესი მსოფლიოს ფორმირებაში. ჩვენს მთავრობას აქვს ძლიერი საქართველოს ხედვა, რომელიც ერთგულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების იდეისადმი. ეს აისახება კიდეც ჩვენს მრავალგანზომილებიან მიდგომაში, რომელიც ქართველი ხალხისთვის სტაბილურობას უზრუნველჰყოფს. ქმედით და ეფექტიან პოლიტიკას ვამუშავებთ და ჩვენს ხედვას ძლიერი მოქმედებებით ვამყარებთ.

მიუხედავად რეგიონში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გლობალურად ეკონომიკური შესაძლებლობების შემცირებისა, საქართველომ მოახერხა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ჩვენმა მთავრობამ ეროვნულ დონეზე წამოიწყო მრავალმხრივი ძალისხმევა საჯარო აქტივებში ინვესტიციების გაზრდის მიზნით. მთავრობის ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკის, ასევე, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის გამო, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ფინანსური მომსახურების, მშენებლობის, ენერგეტიკისა და სერვისების სფეროებში, ტურიზმის ჩათვლით, მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია 2022 წელსაც გაგრძელდა – 10.5%-იანი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2022 წელს, 10.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2023-2027 წლებში, საქართველოს ყველაზე მაღალი ზრდა ექნება რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის – წელიწადში საშუალოდ 5%“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა 2022 წელსაც დაფიქსირდა, რომლის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაორმაგდა და 100%-ზე მეტით გაიზარდა. მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრთა გადამწყვეტმა მოქმედებებმა ხელი შეუწყო საქართველოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, 200 000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას:

„წარმატებას მივაღწიეთ ინფლაციის 9.4%-ზე სტაბილიზაციის კუთხითაც, ხოლო სამიზნე ორიენტირად ინფლაციის 5%-მდე შემცირებას ვაპირებთ 2023 წელს. მრავალი ფართომასშტაბიანი ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური პროექტი მიმდინარეობს, ან იგეგმება ჩვენი ეკონომიკის შემდგომი სტიმულირებისა და ჩვენი ხალხისთვის მეტი კეთილდღეობის მოსატანად. ჩვენი მიზანია, საქართველო ვაქციოთ ნამდვილ, მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად, ამიტომ აქტიურად ვმუშაობთ მსოფლიოს წამყვან ფირმებთან და ყველაზე ნათელ თავებთან. საქართველო ემსახურება ზღვაზე გასასვლელის არმქონე 8 ქვეყანას და არის კარიბჭე ევროპასა და აზიას შორის. ჩემი ქვეყანა უკვე თამაშობს მნიშვნელოვან როლს აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში“.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, საქართველო საერთაშორისო ფირმებს სთავაზობს კონკურენტულ გარემოს ბიზნესის გასაფართოებლად. რაც მთავარია, უფრო დიდ რეგიონში, რაც შეამცირებს მათ საოპერაციო ხარჯებს. პრემიერის თქმით, საქართველოს გავლით, კომპანიებს შეუძლიათ, ისარგებლონ ევროპის 2.3-მილიარდიან სამომხმარებლო ბაზარზე წვდომით, თანაც საბაჟო მოსაკრებლისა და იმპორტის გადასახადის გარეშე. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ჩინეთთან, დსთ-სთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, უკრაინასა და თურქეთთან.

„გარდა ამისა, ჩვენ ვსარგებლობთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით მონიჭებული უპირატესობებით. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ჩვენ შევძელით, საქართველო ბიზნესის კეთების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად გვექცია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთები აქვს მსოფლიოში. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველო მესამე ადგილზეა ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხის მქონე ქვეყნებს შორის და ჯამური საგადასახადო განაკვეთი 9.9%-ია. ასევე, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის 2020 წლის კვლევით, საქართველო მეშვიდე ადგილზეა გლობალურად.

საქართველო ინვესტორებს სთავაზობს არსებითად მიმზიდველ წინადადებას, რადგან ისეთი საგადასახადო მოდელი შევქმენით, რომლის ფარგლებშიც გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება. გარდა ამისა, საქართველოს აქვს ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ამ ზონებში საექსპორტო საქონელი იწარმოება და გადასახადებისაგან თავისუფლდება.

დასასრული მე-7 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მიზანია, საქართველო ვაქციოთ ნამდვილ, მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად“

მე-6 გვერდიდან

ეს ყველაფერი ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ბიზნესის კეთების მიმზიდველ ადგილს. ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების 2022 წლის ანგარიშში, საქართველო ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე 15 ქვეყანას შორის მოხვდა. 2021 წლის ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობისა და ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო პირველ ადგილზეა, 120 ქვეყანას შორის, სახელმწიფო ბიუჯეტების გამჭვირვალობის მიხედვით. საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი ნორმებით შეზღუდვის ინდექსის საფუძველზე, საქართველო მერვე ადგილზეა, 80 ქვეყანას შორის, მსოფლიოში ყველაზე ღია ეკონომიკაზე მეტყველებს ინვესტიციების მიმზიდველობის ნიშნით. ჰერითიჯის ფონდის ეკონომიკური თავისუფლების 2022 წლის ინდექსში, საქართველო მე-18 ადგილზეა ევროპაში და წინ უსწრებს ევროკავშირის წევრ ბევრ სახელმწიფოს, ხოლო გლობალურ რეიტინგში 26-ე ადგილს იკავებს, 177 ქვეყანას შორის. ეს აღიარება მოწმობს იმ უზარმაზარ წინსვლას, რომელსაც ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობითა და ყველა მოქალაქისთვის უფრო წარმატებული მომავლის შექმნით მივაღწიეთ“.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ცნება აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობისთვის. მეწარმეობისა და ინოვაციების წახალისებული გარემოს შემუშავებით, ქვეყანა იზიდავს ინვესტიციებს, ქმნის სამუშაო ადგილებს და შედეგად, ხალხის ცხოვრების დონესაც აუმჯობესებს. საქართველოს, როგორც ვაჭრობისა და ლოგისტიკის რეგიონული ცენტრის პოზიციის მხარდასაჭერად, მთავრობა დიდ ინვესტიციას ახორციელებს რბილი და მყარი ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

„რეგიონული ინიციატივები ენერგეტიკის სექტორში და ინფრასტრუქტურაში, როგორებიცაა: შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის განვითარება; ევროპისა და აზიის ნავთობის ტრანსპორტირების დერეფანი; შავი ზღვის თხევადი აირის პროექტი; რკინიგზის მოდერნიზაცია; აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება, გაზრდის ჩვენი რეგიონისა და საქართველოს გამტარუნარიანობას. ეს პროექტები განსაკუთრებით აქტუალურია ევროპა-აზიის სავაჭრო დერეფნების დივერსიფიკაციისა და გაფართოების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით და იმის გაცნობიერებით, რომ ეგრეთ წოდებული, შუა დერეფანი განიხილება არსებული მარშრუტების სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად.

ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის. მათ შორისაა, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის გადამცემი კაბელის მშენებლობის პროექტი, რომელიც მწვანე, განახლებადი ენერგიის სატრანზიტო შესაძლებლობებს შექმნის საქართველოსა და შავი ზღვის გავლით. ასევე, მინდა ხაზი გავუსვა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებას, რომელიც გაზრდის საქართველოს შესაძლებლობებს დიდი რაოდენობით მშრალი და თხევადი ტვირთების გადაზიდვისთვის. ჩვენ მოუთმენლად ველით შავი ზღვის თხევადი აირის პროექტის განვითარებას. მისი წარმატებული განხორციელება ხელს შეუწყობს სამხრეთ დერეფნის შემდგომ განვითარებას პროდუქტებისა და მარშრუტების მიწოდების დივერსიფიკაციის გზით. უფრო მეტიც, ჩვენ უკვე განვიხილავთ ეგრეთ წოდებულ, ფლაგმანი პროექტების ჩამონათვალს ევროკავშირის პარტნიორებთან, რაც დამატებით ეკონომიკურ მუხტს შემოიტანს და კატალიზატორად იქცევა ევროპულ და აზიურ ბაზრებთან მეტი კავშირისა და ინტეგრაციისთვის. გვჯერა, რომ სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანა და მოკავშირეები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ისარგებლებენ ამ პროექტებით“.

ეკონომიკის გაძლიერება და რეგიონული ჰაბის განვითარება შეუძლებელი იქნება სათანადო დაგეგმვისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი მტკიცე ერთგულების გარეშე. სწორედ ამიტომ, გასულ წელს, დამტკიცდა „მთავრობის ხედვა 2030“. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ეს არის საქართველოს განვითარების სტრატეგია, რომელიც ყოვლისმომცველ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტს წარმოადგენს და წარმართავს ქვეყნის პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციას, ამავდროულად, ასახავს 2030 წლისთვის ქვეყნის განვითარების ძირითად მიზნებსა და პრიორიტეტებს, გაეროს 2030 წლისთვის განსაზღვრული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის სულისკვეთებასა და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პრინციპებს. პრემიერის თქმით, სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა მიზნად ისახავს საქართველოში მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სოციალური თანასწორობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობას.

„გადამწყვეტი მოქმედებების განხორციელებისას, საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს მუშაობის გამჭვირვალობასა და ღიაობას, ადგენს მაღალ სტანდარტებს ღია მმართველობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების სფეროებში. ეს ძალისხმევა აისახა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის 2022 წლის ინდექსში, რომლითაც საქართველო 41-ე ადგილზეა, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის. ასევე, საქართველო წინ უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს მრავალ ქვეყანას მსოფლიო ბანკის 2021 წლის მმართველობის ინდიკატორებით. მსოფლიო სამართლის პროექტის 2022 წლის სამართლის უზენაესობის ინდექსით, საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ კრიმინალის 2023 წლის ინდექსით, „ნამბეოს“ მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებს შორის, მსოფლიოში – მე-18, ხოლო ევროპაში – მერვე ადგილზეა.

ყველა იმ წინსვლის გათვალისწინებით, რასაც მივაღწიეთ, საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, როგორც კონკრეტული პასუხი ქართველი ხალხის მრავალწლიან არჩევანზე. 2022 წლის 23 ივნისს, ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირშია. გადაწყვეტილი გვაქვს სწრაფი წინსვლა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, ხოლო კანდიდატის სტატუსი ჩვენი შემდეგი, უახლოესი ეტაპი გახლავთ“.

ირაკლი ღარიბაშვილისვე განცხადებით, ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა არის მოქნილი, რომელიც რეაგირებს ახალ რეგიონულ და გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე, პოლიტიკურ მოვლენებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ირგვლივ არსებული გარემო მუდმივად იცვლება, ქვეყნის მთავრობა ეროვნული ინტერესებისა და საერთო ღირებულებების ერთგულია და ემსახურება მოქალაქეების საჭიროებებს. სიტყვის ბოლოს კი, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის ხედვა საქართველოს მიმართ, გულისხმობს სტაბილურობის, მშვიდობის, შესაძლებლობებისა და განვითარების სიმბოლოდ ქცევას.

„მზად ვართ, შევქმნათ ძლიერი, დინამიკური ეკონომიკა, რომელიც სარგებელს მოუტანს ყველა ჩვენს მოქალაქეს. ამავე დროს, ვაშენებთ საზოგადოებას, რომელიც იქნება ინკლუზიური, ინოვაციური და მომავალზე ორიენტირებული. სამომავლოდ, დაე, გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანია, საქართველო ვაქციოთ იმის ნათელ მაგალითად, თუ რა არის შესაძლებელი საერთო ხედვის მისაღწევად, საერთო-სახალხო გაერთიანებით. ამას შთაგონებას გვაძლევს არაბთა გაერთიანებული საამიროების საოცარი განვითარება. ჩვენ გვაქვს რესურსი, ნიჭი და მონდომება წარმატების მისაღწევად. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად დგომით, ჩვენს ხედვას რეალობად ვაქცევთ!“

რა სარგებლობა მოაქვს ბავშვისთვის შინაურ ცხოველებთან ურთიერთობას

ლიკა თორთლაძე

სპეციალისტების რჩევები, რომლებიც მშობლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ

ბავშვებისა და ცხოველების სიახლოვის საკითხი, დიდი ხანია, განხილვის საგანია. მშობლების უმეტესობას მიაჩნია, რომ შინაური ცხოველი ბავშვის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ხშირად ბავშვებს ცხოველებთან მიახლოებასაც უკრძალავენ. სამწუხაროდ, საზოგადოება არაა გათვითცნობიერებული, რა სარგებლობა მოაქვს ბავშვისთვის შინაურ ცხოველებთან სიახლოვეს. რა უნდა ვიცოდეთ შვილების ცხოველებთან ურთიერთობის დადებით მხარეებზე, რა წესები უნდა დავიცვათ და როგორ დავამაყაროთ ოთხფეხა მეგობრებსა და ბავშვებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია? – „ვერსიას“ თოდუას კლინიკის პედიატრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თმა აბშანდაძე და ფართო პროფილის ექიმი ვეტერინარი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ნათია ნატროშვილი ესაუბრნენ.

– თეა, რა როლს ასრულებს ცხოველი ბავშვის განვითარებაში და რატომაა სასარგებლო ჯანმრთელობისთვის ოთხფეხა მეგობრის ყოლა?

– ბევრი ბავშვი ოცნებობს, ჰყავდეს შინაური ცხოველი, ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა, რათა ცხოველის ყოლა ყველასთვის პოზიტიურ გამოცდილებად იქცეს. ბავშვის იმუნიტეტი ცხოველთან სიახლოვის დროს, რა თქმა უნდა, გაძლიერებულია და ალერგიის ფონი შემცირებულია. ცხოველებზე ზრუნვა და მათთან მეგობრობა ბავშვს ადამინებთან სწორი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარება, უყურადღებო მოპყრობა კი, შესაძლოა, საზიანო გახდეს, როგორც შინაური ცხოველის, ასევე, ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ცხოველები ბავშვების საუკეთესო მეგობრები არიან, ისინი შეიძლება იყვნენ საიდუმლოებისა და პირადი აზრების უსაფრთხო მიმღებები. მათ მიმართ ისეთი პოზიტიური გრძნობების განვითარება, როგორიცაა სიყვარული, ერთგულება, თანაგრძნობა და მზრუნველობა ხელს უწყობს ბავშვის, როგორც არავერბალური უნარებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, ასევე, თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის ამაღლებას. ისინი შეიცნობენ კავშირს ბუნებასთან და სწავლობენ პატივისცემას სხვა ცოცხალი არსებების მიმართ. ცხოველების გასეირნება და მათთან ერთდ დროის გატარება ბავშვის ფიზიკურ აქტივობას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩამოყალიბებას. შინაურ ცხოველებთან ბავშვები თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ, მათში ნაკლებია შიშისა და შფოთვის განცდა.

აღსანიშნავია, რომ ცხოველები ბავშვებს სწავლაში ეხმარებიან. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში, დიდი ხანია, ცხოველებს იყენებენ, როგორც თერაპიის ფორმას სკოლებში, განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებთან. კერძოდ, ცხოველებს შეუძლიათ, დაეხმარონ ბავშვებს კითხვის უნარებში. კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები, რომლებსაც არ სურთ სკოლაში ხმამაღლა კითხვა, უფრო თავდაჯერებულად კითხულობენ ცხოველების თანდასწრებით , რადგან მათ ხედავენ, როგორც მეგობრებს, რომლებიც არ განსჯიან. ცხოველების მოვლა-პატრონობაში ოჯახის წევრების ჩართულობა ხელს უწყობს ურთიერთობების გამყარებას და იძლევა დროის ერთად სასიამოვნოდ გატარების საშუალებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის.

– რა რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა შინაური ცხოველის შეძენამდე?

– სამიდან-ოთხ წლამდე ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად მომწიფებულნი, რათა თავიანთი სიბრაზე და აგრესიული იმპულსები აკონტროლონ, შესაბამისად, მათ ურთიერთობას შინაურ ცხოველებთან უნდა მეთვალყურეობდნენ უფროსები. ამასთან, ათ წლამდე ბავშვებს ცხოველებზე დამოუკიდებლად ზრუნვა არ შეუძლიათ და მშობლებმა უნდა გააკონტროლონ შინაური ცხოველების მოვლა, მაშინაც კი, თუ ფიქრობენ, რომ შვილი საკმარისად დიდია ამისთვის. თუ ბავშვს ცხოველის მოვლა არ სურს, შეიძლება, მასზე პასუხისმგებლობის აღება თავად მშობელს მოუწიოს. მნიშვნელოვანია, უფროსებმა ბავშვებს დელიკატურად და არა გაკიცხვით შეახსენონ, რომ ცხოველებსაც, როგორც ადამიანებს, სჭირდებათ საკვები, წყალი და ვარჯიში. თუ ბავშვი აგრძელებს შინაური ცხოველის უგულებელყოფას, შესაძლოა, მას ახალი სახლის პოვნა დასჭირდეს.

ბავშვები შინაური ცხოველის მიმართ პასუხისმგებლობას მშობლების ქცევაზე დაკვირვებით სწავლობენ, სწორედ ამიტომ, შინაური ცხოველის შეძენა ბავშვის სურვილთან ერთად, უნდა წარმოადგენდეს მშობლის სურვილსაც. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმეტესობა ნაზი და შემწყნარებელია შინაური ცხოველების მიმართ, შესაძლოა, ზოგიერთი ზედმეტად უხეში ან სასტიკი იყოს. თუ ეს ქცევა გრძელდება, შესაძლოა, სერიოზული ემოციური პრობლემების ნიშანი იყოს.

ნებისმიერი ბავშვი, რომელიც ძალადობს, აწამებს ან კლავს ცხოველს, უნდა შეფასდეს სპეციალისტის მიერ.

– როდესაც ცხოველზე ალერგიული ფონი იჩენს თავს, როგორ შეუძლია მშობელს აღნიშნული პრობლემის მოგვარება?

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№5 15 თებერვალი 2023 წ

სამი კრიმინალური ამბავი

ბათო ჯაფარიძე

სამართალდამცავებმა, სამეგრელოში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ნომერ პირველი ძებნილი, ბადრი ესებუა დააკავეს. მოგეხსენებათ, ძალოვნები ესებუას ბანკის დაყაჩაღებას, მძევლების აყვანასა და ნახევარი მილიონი დოლარის წაღებას ედავებიან და ეს თემა მუდმივად იყო „საღლიცინო“. შს მინისტრ ვახტანგ გომელაურს ჟურნალისტებთან ყოველი შეხვედრის დროს ეკითხებოდნენ, როდის დაიჭერდა პოლიცია ესებუას და საერთოდ, ეძებდა თუ არა მას უწყება. გომელაურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ქილიკსა და ირონიას ვაჟკაცურად იტანდა და როგორც ახლა გამოჩნდა, შსს-ს ესებუას ძებნა ერთი წამითაც არ შეუწყვეტია.

რა ელის ესებუას ციხეში

რა მოხდა რეალურად, ვინ „ჩაუშვა“ ძებნილი და სხვა დეტალები, სავარაუდოდ, მოგვიანებით გახდება ცნობილი. მანამდე კი ის ვთქვათ, რომ დაკავებული ბრალს არ აღიარებს და ამბობს, რომ მისი სახელისა და გვარის გაჟღერების შემდეგ მიიმალა, რადგან მიხვდა, რომ პოლიციას სხვა ეჭვმიტანილი არ ჰყავდა. ეჭვი გვაქვს, სამართალდამცავებს საკმარისი მტკიცებულებები გააჩნიათ, რომ მძარცველი სწორედ ესებუა იყო და თუ ეს ასე არ არის, მტკიცებულებების გარეშე, მას ციხეში ვერ გაუშვებენ. ბადრი ესებუას ტერორიზმის მუხლიც აქვს წარდგენილი, რადგან მძელვები აიყვანა და საინტერესოა, როგორ ექცევიან ციხეში პატიმრებს, რომელსაც ტერორიზმის მუხლი წაუყენეს?!

ძალიან დიდი ალბათობით, თუ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება და დაკავებულს რეალურ სასჯელს მისცემენ, ის აღნიშნულ ვადას ჩვეულებრივ „ზონაში“ არ მოიხდის. მას საბრძოლო მოქმედებებში აქვს მონაწილეობა მიღებული, სამხედრო ჩინიც აქვს და წესით, ყოფილ ძალოვნებთან ერთად უნდა ჩასვან, თუმცა ამთავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ საუკეთესო შემთხვევაში, სასჯელის (უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, კიდევ გავიმეორებთ – თუ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა), ესებუა პირველ ხუთ წელს მაინც მკაცრი რეჟიმის სრულად დახურულ დაწესებულებაში ანუ „კრიტში“ მოიხდის და უდიდესი ალბათობით, პირველ ორ წელს მაინც, სამარტოო საკანში. იმის მიუხედავად, რომ ესებუას არავინ მოუკლავს, არავინ დაუჭრია, ის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულშია ეჭვმიტანილი და ასე მარტივად არ იქნება ყველაფერი.

ყოფილი ძალოვნები ერთმანეთს ნამდვილად არ ერჩიან და სასჯელსაც მშვიდად იხდიან, თუმცა ესებუას არც ჩვეულებრივ პატიმრებთან შეექმნებოდა რამე პრობლემა. მიზეზი მარტივია – არ დაუზიანებია არავინ და რაც მთავარია, მარტომ დაგეგმა და განახორციელა ძარცვა, რომელსაც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი კრიმინალი ორივე ხელს მოაწერდა. ანალოგიურის განმეორების მცდელობა რამდენჯერმე იყო, თუმცა ბოლოში ვერცერთი ვერ გავიდა და რეალურად, თანხა ბანკიდან მხოლოდ ესებუამ წაიღო (თუ დაუმტკიცდა).

„კანონიერი ქურდი“ გიორგი ვაშაყმაძე განაჩენის მოლოდინშია

ცოტა ხნის წინ, რუსეთში „კანონიერი ქურდი“ გიორგი ვაშაყმაძე, იგივე „გია სამტრედიისკი“ დააკავეს. როგორც რუსი სამართალდამცავები იუწყებიან, მას კრიმინალურ სამყაროში უმაღლესი იერარქიული საფეხურის დაკავებას ედავებიან, თუმცა საინტერესო ის გახლავთ, რომ ვაშაყმაძის საქმეში მოწმე არ არის ანუ ჯერჯერობით, მას ხელს არავინ ადებს და არ ამტკიცებს, ეს კაცი „კანონიერი ქურდიაო“.

სწორედ ამიტომ, ლიპეცკის სასამართლოს გადაწყვეტილება, ვაშაყმაძის ადვოკატებმა გაასაჩივრეს და მისი ან სრულად გათავისუფლება, ან შინაპატიმრობაში გადაყვანა მოითხოვეს.

„ბატონო მოსამართლე, შესაძლოა, თქვენ ვაშაყმაძეს პირველად ხედავთ, მაგრამ ჩვენ მას კარგად ვიცნობთ. არაერთხელ არის „ნაჯდომი“ რუსულ ციხეში და ამ ხნის განმავლობაში, თავი წარმოაჩინა, როგორც დაუმორჩილებელმა და შიდა განაწესის მუდმივად დამრღვევმა პატიმარმა. მას მარტივად შეუძლია აიყოლიოს მთელი ზონა და მოაწყოს მასობრივი დაუმორჩილებლობა, რასაც უბრალოდ, ვერ გააკეთებს, თუ „კანონიერი ქურდი“ არ არის. ის მიდრეკილია გაქცევისკენ, მან რამდენჯერმე სცადა ციხიდან გაქცევა და როგორ გგონიათ, თავისუფლებაზე მყოფი, თუნდაც შიდაპატიმრობაში, ვერ მოახერხებს გაქცევას? რაც შეეხება მოწმეს, ჩვენ ის გვყავს, მაგრამ სასამართლომდე არ გვსურს გამოჩენა, რათა ბრალდებულის მეგობრებმა ის არ დააშინონ, ან უფრო მეტიც, არ გააქრონ“, – ეს სიტყვები პროკურორმა სასამართლოზე თქვა და რა გასაკვირია, ამ განცხადების შემდეგ, მოსამართლეს ვაშაყმაძე პატიმრობაში რომ დაეტოვებინა.

რუსული მედია ამტკიცებს, ყველაფერი ეს ფორმალობაა, გიას განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და მას 10 წელს მისცემენო.

რატომ აჭერინებენ ქართველი არასრულწლოვნები მშობლებს

გასულ კვირას მეგობარს სასამართლო სხდომაზე გავყევი. ერთ-ერთ კომპანიასთან კომპენსაციაზე აქვს დავა და სასამართლოს შენობაში რამდენიმე ნაცნობი ადვოკატი ვნახე. სწორედ მათგან გავიგე, რომ მოსამართლეები გადატვირთულ რეჟიმში მუშაობენ, ერთი სხდომიდან მეორეზე გადადიან და ასეა ყოველდღე. მართლაც, მონიტორზე, სადაც ჩამონათვალი იყო, ვის და რომელ ოთახსა თუ საათზე ჰქონდა პროცესი, მოსამართლეები შემეცოდნენ. შემეცოდნენ იმიტომ, რომ საათში ერთხელ ეწყებოდათ სასამართლო და რეალურად, ამოსუნთქვასაც ვერ ასწრებდნენ. როცა ასეთი გადატვირთული გრაფიკის მიზეზი ვიკითხე, მითხრეს, რომ მთავარი მიზეზი... ოჯახური ძალადობაა.

ბადრაგიც ამბობს, რომ საპატიმროდან სასამართლოში მიყვანილი პატიმრების 90%-ზე მეტი ოჯახურ ძალადობაზეა დაჭერილი. პოლიციაში რეკავს ყველა – ცოლი, შვილი, მეზობელი, რომელიც ამბობს, რომ გვერდიდან ხმაური ესმის და სავარაუდოდ, ცოლ-ქმარი კამათობს ან ჩხუბობს და გამკაცრებული მიდგომის გათვალისწინებით, სასამართლოც წინასწარ ორთვიანს უფარდებს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, ქალების გახშირებული მკვლელობებიც ამის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია და ამიტომ, მოსამართლეები აღარ რისკავენ და ძალადობაში ბრალდებულებს წინასწარ პატიმრობაში უშვებენ.

„გასაგებია, რომ სასამართლო ფრთხილობს, მაგრამ ასეც არ შეიძლება. ჩემმა კლიენტმა ახალ წელს, კონცერტზე მყოფ 16 წლის შვილს დაურეკა და უთხრა, გეყოფა ქუჩაში ხეტიალი, სახლში წამოდიო. შვილი დათანხმდა, თუმცა იგივე განმეორდა ნახევარ საათში, მერე კიდევ და... გაბრაზებულმა მამამ ყურმილში ჩასძახა, ნახავ, რას გიზამ, სახლში რომ მოხვალო. ბავშვს, სავარაუდოდ, შეეშინდა და პატრულში კი არ დარეკა, იქვე მდგარ პოლიციელებს მიმართა, მიშველეთ, მამა მოკვლას (?!) მიპირებსო. პოლიციამ გოგონას განცხადება დააწერინა, რა დროსაც გაბრაზებულმა მამამ ყვირილით კიდევ დაურეკა და 1 იანვარს, გამთენიისას, ეს კაცი დაიჭირეს. ახლა დიდი შანსია, ორწლიანი სასჯელი შეუფარდონ და ვერაფერს ვაკეთებ, გოგონა ამბობს, მეშინია, ასეთ შარში რომ გავხვიე, მართლა არ მომკლას, მეგონა, პოლიცია უბრალოდ შეაშინებდა და იმ ღამეს სახლში მისული დატუქსვას გადავრჩებოდიო. ჰოდა, ჩვენებას არ ცვლის და იმედი აქვს, სანამ მამა ციხიდან გამოვა, ან გაბრაზება გადაუვლის, ან თავად მოიფიქრებს რამეს და სხვაგან გადავა საცხოვრებლად. დედა მკაცრად არის გაფრთხილებული, რომ თუ გოგონას ხმამაღალ სიტყვას ეტყვის მომხდარის გამო, მას შვილს წაართმევენ“, – მითხრა ერთ-ერთმა ადვოკატმა.

„ჩემმა კლიენტმა შვილს, მეთორმეტე კლაასელ გოგონას ჯიბეში მარიხუანა უპოვა. ისიც არ მოეწონა, შვილი თმის ნახევარს მწვანედ რომ იღებავდა, მეორეს – ლურჯად. მოკლედ, თვალთვალი დაუწყო და ერთხელაც, უკან რომ გაჰყვა, აღმოაჩინა, რომ მისი შვილი, თანატოლებთან ერთად, ღამით სასაფლაოზე წავიდა, თან კატა წაიყვანეს, სავარაუდოდ, მოსაკლავად თუ დასაკლავად, მაგრამ ამან ვეღარ მოითმინა, გამოვიდა და ჯერ თავის შვილს სწვდა თმაში და ითრია, მერე მის უახლოეს მეგობარს. პრაქტიკულად, ორივე ძალით წაიყვანა სახლში, მეგობარი მშობლებს ჩააბარა, თავისი გოგო შინ წაიყვანა და მთელი ღამე ლექციას უკითხავდა, რომ ასე არ შეიძლება, რომ ეს არ არის ნორმალური. მეორე დღეს, ეს კაცი სამსახურში დააკავეს, ორივე გოგომ საჩივარი დაწერა და რაც მთავარია, მეგობრის ოჯახი ამბობს, რომ როცა მათი შვილი მოიყვანა დაკავებულმა, ძალზედ აგრესიულად ექცეოდა „ბავშვს“ და აშკარა იყო, რომ ფიზიკურთან ერთად, ფსიქოლოგიური ტრავმაც მიაყენაო. ახლა ორივე ბავშვი ბოლომდე აწვება პირველ ჩვენებას და ჩემს კლიენტს სამწლიანი სასჯელი ელოდება“, – ეს მეორე ადვოკატის მონაყოლია.

მესმის, თან ძალიან კარგად მესმის, რომ ძალადობა არ შეიძლება, არც ქალებზე, არც ბავშვებზე, მაგრამ... ისიც არ შეიძლება, საკუთარ შვილს ტელეფონი ჰქონდეს მომარჯვებული და მშობლებს ატერორებდეს, თუ რამეს დამიშლით, პოლიციაში დავრეკავ და თქვენს თავს დავაჭერინებო. არაა ეს ნორმალური, არა!

ბაზალეთიდან 2 წლის ბიჭი მოიტაცეს



ბათო ჯაფარიძე

არ არსებობს მშობელი, რომელსაც ბავშვი ქუჩაში უყურადღებოდ ერთი წუთით მაინც არ დაუტოვებია. განსაკუთრებით ახლა, როდესაც მოზრდილთა უმრავლესობას ის უფრო აინტერესებს, სოციალურ ქსელში რა ხდება და ტელეფონის ეკრანთან განშორება უჭირთ. ადრე ასე არ იყო, მაგრამ დედა ან მამა მეგობართან საუბრით გაერთობოდა და ბავშვიც მაშინვე გაძვრებოდა ხოლმე. ისე, თითქოს პატარებს ინსტინქტი აქვთ გამომუშავებული, ზუსტად იციან, როდის და როგორ უნდა გაუხეთქონ გული მშობლებს

ბავშვები იკარგებოდნენ ადრეც, იკარგებიან ახლაც და სამწუხაროდ, დაიკარგებიან მომავალშიც, თუმცა დღევანდელი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ბავშვის უკვალოდ გაქრობა წარმოუდგენელია, რადგან ყველგან ვიდეოთ-ვალია დამონტჟებული. ამის მიუხედავად, მშობლებმა ყურადღება წამითაც არ უნდა მოადუნონ, რადგან ჩვენს პატარებს უყვართ დამოუკიდებლად „მოგზაურობა“ და გაპარვა.

„ჩემი ცოლის თანაჯგუფელი მომადგა, მიშველე, ბავშვი დავკარგეო. ამის შესახებ უკვე ვიცოდი, ცოლმა ცალკე მითხრა და განყოფილებაში განცხადება რომ შემოიტანა კაცმა, მაშინაც დამირეკეს. გამიკვირდა, ჩემთან რატომ მოვიდა-მეთქი და ამიხსნა, მარტო შენი იმედი მაქვს, ისინი, რომლებსაც ეს საქმე აწერიათ, არაფერს აკეთებენო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, რადგან დაკარგულ ადამიანებს მართლა გამოცდილი ხალხი ეძებდა და რაც მთავარია, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დაკარგულები ეპოვათ. უბრალოდ, მამას მეტი უნდოდა და უნდოდა იმიტომ, რომ საკუთარ თავს ადანაშაულებდა ბავშვის დაკარგვაში. ვუთხარი, ჩავერთვები-მეთქი, არ ჰქონდა იმის ახსნას აზრი, რომ არავინ ჩამრთავდა სხვა განყოფილების თანამშრომელს სხვა საქმეში, თუმცა ამბავს რომ მოვიკითხავდი, ზუსტად ვიცოდი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

შემთხვევა ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 1977 წელს მოხდა. მამაკაცმა გადაწყვიტა, ცოლ-შვილთან ერთად ქალაქგარეთ გასულიყო, კარავი წაიღო, გაშალა, ისადილეს, ივახშმეს, შემდეგ 12 წლის გოგონა და 2 წლის ბიჭი კარავში დააწვინეს, ცოლ-ქმარი კი იქვე, კარვის სიახლოვეს ჩამოსხდნენ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დაუწყეს ცქერა. როგორც ისინი ამბობდნენ, ყველაფერი ეს, ყველაზე დიდი, 20 წუთი გაგრძელდა, შემდეგ ისინი მძინარე ბავშვებთან შევიდნენ და აღმოაჩინეს, რომ ბიჭი გამქრალიყო. თავიდან ეგონათ, ბავშვმა გაიღვიძა და სადმე თავად წავიდა, თუმცა ის ახლო-მახლო არ ჩანდა. იმის გამო, რომ საკმაოდ გრილოდა, კარავი ტბისგან გვარიანად მოშორებით იყო და 2 წლის ბავშვი იქამდე ვერც მივიდოდა – სავალი გზა ხის ტოტებით იყო ჩახერგილი და იმ მხარეს რომც წასულიყო, მშობლების წინ უნდა გაევლო და ღამით მშობლები რამეს აუცილებლად გაიგებდნენ. მესამე თუ მეოთხე დღეს თქვა მამამ, მგონი, ყეფა გავიგონეო, თუმცა დაზუსტებით ვერ ამბობდა. ვერსია, რომ მძინარე ბავშვი, შესაძლოა, მგელს, ტურას ან მელას წაეთრია, გამორიცხა, ისინი ამას უხმაუროდ ვერ გააკეთებდნენ. გამოირიცხა გაველურებული ძაღლიც, რადგან... კარავში შესასვლელ ბრეზენტის კარს ელვა-შესაკრავი ჰქონდა, რომელიც მშობლებმა შეკრეს და როცა შესვლა დააპირეს, ისევ შეკრული დახვდათ. ყველაფერი ეს, მერე და მერე აღიქვეს, პირველმა ელდამ რომ გადაუარათ, თორემ ტურა-მგლისა და ძაღლის ვერსიები იყო, თუმცა ორივემ დაბეჯითებით აღიარა – ელვა შეკრული იყო და ბავშვი ვერ გახსნიდაო და თუ გახსნიდა, 2 წლის ბიჭი ნამდვილად ვეღარ შეკრავდა.

გამოდიოდა, ბავშვი მოიპარეს, მაგრამ ვინ და რატომ? ცხელ კვალზე საქმის გახსნა ვერ მოხერხდა, მერე კი, ჯერ ერთი კვირა გავიდა, მეორე, მესამე... ყველამ ხელი ჩაიქნია. დაკარგული ბავშვი, უბრალოდ, გაქრა და ერთადერთი, ვინც განყოფილებაში თითქმის ყოველ დღე მიდიოდა, მამა იყო. ის ამბობდა, სხეულით ვგრძნობ, რომ ჩემი შვილი ცოცხალია და მაპოვნინეთო. რა თქმა უნდა, ნებისმიერ მშობელს არასდროს სჯერა, რომ შესაძლოა, შვილი დაეღუპა, სანამ ამას არ ნახავს და დაკარგული ბავშვის მშობლებს ნანახი არაფერი ჰქონდათ.

„ჩემს კოლეგებთან მუდმივ კონტაქტზე ვიყავი, მაგრამ ისინი უიმედოდ შლიდნენ ხელებს. არ გამორიცხავდნენ, რომ ბავშვი საქართველოდან გაიყვანეს, იყო ასეთი შემთხვევებიც, იპარავდნენ ბავშვებს და ყიდდნენ უშვილო ოჯახებზე, ისინი კი სოლიდურ ჯამაგირს იხდიდნენ. აღარ ვიცოდი, გულმოკლული მამა რით დამემშვიდებინა, მხოლოდ ჩვენთან კი არ დადიოდა, ფეხით ჰქონდა შემოვილილი ყველა ბავშვთა სახლი, ყველა მორგი, ყველა საავადმყოფო. არსად არაფერი იყო ახალი და ასე გავიდა ერთი წელი. ბავშვის საქმე დახურული არ იყო, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ძებნას აზრი არ ჰქონდა, ყველა, გარდა მამისა. ალბათ გიკვირთ, დედას რომ არ ვახსენებ. მან შვილი დაკარგვიდან ორი თვის შემდეგ გამოიტირა, გასვენების გადახდასაც კი აპირებდა, ქმარმა არ დაანება, დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ცოცხალიაო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ასე გავიდა 6 წელი. რა თქმა უნდა, საქმე დაიხურა, გაუხსნელობის გამო, ოფიციალურად ბავშვი გარდაცვლილად გამოცხადდა, თუმცა მამამ საბუთი არ წაიღო, არ აღიარა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა, რადგან დედა ვეღარ იტანდა მუდმივად ახალი ვერსიების მოსმენას, ვერ იტანდა იმას, რომ ქმარი გამუდმებით ბავშვთა სახლებში დადიოდა, ასაკი თუ ემთხვეოდა და უცხო ბავშვს დაკარგული ბავშვის ფერის თმა ან თვალები ჰქონდა, კვლევას იწყებდა და ამას შედეგი არ მოჰქონდა. სამართალდამცავებიც დაიღალნენ მისი კითხვებით, ის ძიების განახლებას ითხოვდა, ბატონ თენგიზსაც ხშჭირად აკითხავდა, თუმცა მილიცია აღარ აპირებდა არაფრის გაკეთებას. მით უმეტეს ახლა, როცა ამდენი დრო იყო გასული და სამართალდამცავებს ხელში სამხილი ან ძაფის ბოლო არ ჰქონდათ. უბედური მამა ბაზალეთზე ხშირად დადიოდა, ღამეც რჩებოდა, ათენებდა, აღამებდა, გარემოს აკვირდებოდა და ცდილობდა, წარმოედგინა მაინც, რა მოხდა იმ ღამეს, თუმცა შედეგი კვლავ არაფრისმომცემი იყო.

„ამ საქმეს მხოლოდ ჩემი ცოლის თანაჯგუფელი თუ მახსენებდა, რომელიც განყოფილებაში, ყველაზე ცუდ ვარიანტში, ორ თვეში ერთხელ მაკითხავდა, მეუბნებოდა, ხომ არ მოხდა ანალოგიური დანაშაული, ხომ არ გვყავდა ვინმე ეჭვმიტანილი და პასუხი მუდმივად უარყოფითი იყო. ერთ დღეს ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დავაკავეთ, სამი – უშუალოდ ყაჩაღი, ერთი კი ნაძარცვს ინახავდა, თუმცა საქმეში ისიც სრულად გაგვყავდა. ჰოდა, ამ კაცმა მითხრა, ვითანამშრომლებ, ეგებ გაუხსნელი საქმეებიც გაგახსნევინოთ, ოღონდ ყაჩაღობის მუხლი შემიცვალეთ, ნაქურდალის შენახვა-გასაღება დამიტოვეთ და ციხეშიც ყველაზე დიდი, 2-3 წლით გამიშვითო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ჰოდა, დაკავებულმაც დაიწყო – „ამ ჯგუფიდან ერთ-ერთი ადრე ბავშვებს იპარავდა, ზოგი საზღვარგარეთ გაჰყავდა, ზოგსაც აქვე აშვილებდა, დიდი ფულის სანაცვლოდ ყველაფერს კისრულობდა, პატარა ლეკვი ჰყავდა დიდ თოკზე გამობმული, ტყის პირას, ბავშვები რომ თამაშობდნენ, ისინი ლეკვისკენ იწევდნენ, ეს თოკს ქაჩავდა, ტყეში ასე იტყუებდა და იპარავდა. ზღვისა და ტბის სანაპიროებზეც იპარავდა ბავშვებს. ახლა კი, საქართველოში სანდო ოჯახების მოძებნა გაჭირდა, რომლებიც მოპარულ ბავშვს იყიდიან, იმდენს მოახერხებენ, რომ საბუთებს გაუკეთებენ, თან დიდ ფულს გადაიხდიან და ესეც ყაჩაღი გახდა“...

გამოძიებაში ლამის მთელი სამინისტრო ჩაერთო. დაკავებულ ყაჩაღს უთხრეს, ერთ-ერთი ყაჩაღობის დროს ადამიანი რომ შემოგაკვდათ, შენ აგკიდებთ, დახვრეტის მუხლი არ აგცდება, თუ მოპარულ ბავშვებზე არ მოგვაწვდი ინფორმაციასო. თანამშრომლობის შემთხვევაში კი, სასჯელის უმაღლესი ზომის აცილებას დაპირდნენ. როგორც აღმოჩნდა, მას მხოლოდ სამი ბავშვი ჰყავდა მოპარულ-გაყიდული და სამივე შემთხვევა გადასარევად ახსოვდა. სამიდან ერთი... ბაზალეთი იყო.

„ახლაც არ ვიცი, როგორ გაიგო, მაგრამ დაკარგული ბავშვის მამა სანადირო თოფით მოვარდა განყოფილებაში, მიმიშვით, თოფს დავადებ და მაშინვე ვათქმევინებო, მაგრამ ვინ მიუშვებდა?! დავაწყნარეთ, დავამშვიდეთ და ვუთხარით, რომ დაკავებული ყველანაირ ჩვენებას იძლეოდა. მან თქვა, რომ იმ დღეს ბაზალეთზე შემთხვევით იყო ასული, დაინახა ოჯახი პატარა ბავშვებით, რომლებმაც კარავი გაშალეს და მიხვდა, რომ ბავშვის მოპარვის შესაძლებლობა მიეცემოდა. დაელოდა დაღამებას და პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა, ბავშვი იმავე დღეს მანქანით სოხუმში ჩაიყვანა და იმ ოჯახს მიჰყიდა, რომელიც დიდ ფულს იხდიდა. შეკვეთა იმ ოჯახისგან ექვსი თვის მიღებული ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ვერ მოიხელთა ვერავინ. ოჯახის უფროსის სახელი ახსოვდა და მისამართი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მეორე დღეს თბილისელი მაძებრები ბავშვის დედ-მამასთან ერთად სოხუმში იყვნენ. როგორც გაირკვა, ოჯახმა სიფრთხილე გამოიჩინა, ბავშვი ჯერ სოჭში გადაიყვანა, შემდეგ – კრასნოდარში, იქ გაუკეთა საბუთები და უკან დაბრუნდა. ამიტომ ვერ მიაგნეს დაკარგულის კვალს, თუმცა მალე ოჯახის უფროსი გარდაიცვალა, დედამ კი ჩათვალა, რომ უბედურება მათ სახლში ბავშვმა მიიტანა და ის ბავშვთა სახლში ჩაბარა, კრასნოდარში. სამ დღეში, რუსულად მოსაუბრე, მაგრამ იერით ქართველი, შავტუხა ბიჭი ბიოლოგიურ დედ-მამას ეხუტებოდა.

ბათო ჯაფარიძე

ფსიქიატრიული კლინიკა – ადგილი, სადაც მოხვედრა ჯანმრთელი ადამიანისთვისაც კი უდიდესი სტრესია. ფსიქიკურად დაავადებული ადმაინების ყურება დიდ გამძლეობას მოითხოვს, თუმცა იქ ისეთებიც ხვდებოდნენ, რომლებსაც არაფერი სჭირდათ, ძალით იგიჟიანებდნენ თავს, რათა კანონის წინაშე მოსალოდნელი პასუხისმგებლობა აერიდებინათ, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. იყო შემთხვევები, როცა ფსიქიატრიულიდან პაციენტი გაქცევიათ და მას მთელი თბილისის მასშტაბით ეძებდნენ, თუმცა შემთხვევაზე, რომელზეც ახლა გიამბობთ, მაშინ სამთავრობო კულუარებში საუბრობდნენ და ცდილობდნენ, რომ რიგით ადამიანებს ამის შესახებ არაფერი გაეგოთ. საქმე ის გახლდათ, რომ ფსიქიატრიულიდან პაციენტი გაიქცა და ეს პაცინეტი განსაკუთრებული იყო – ერთ-ერთი გავლენიანი მაღლაჩინოსნის შვილი. გოგონა 19 წლის გახლდათ და გაქცევამდე ორი თვით ადრე, ფსიქიატრიულში თავად მაღალჩინოსანმა მიიყვანა. ექიმები მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ამიტომაც იყო მისი გაუჩინარება საოცარი – ის მუდმივად თვალთახედვის არეში იმყოფებოდა, პირადი ექთანიც კი ჰყავდა – გამოცდილი, შუა ხნის მამაკაცი, რომელიც გოგონას ნაბიჯითაც არ შორდებოდა.

6 წლის გოგონამ დედა მოკლა

დიდი ტრაგედია ქართველი თანამდებობის პირის ოჯახში

„რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ექთანი ვნახეთ და დავკითხეთ. მან მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ შეიძლებოდა გაპარულიყო, შეტევა ჰქონდა და „რბილ ოთახში“ შევიყვანე, რათა დაწყნარებულიყო, კარი გარედან გადავუკეტე და ნახევარი საათის შემდეგ რომ მივაკითხე, იქ აღარ დამხვდაო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ნერვული შეტევის ნამდვილობას სხვა ექთნებიც ადასტურებდნენ, ამბობდნენ, მამაკაცმა გავეშებული გოგონა ოთახამდე ძლივს მიიყვანა და ჩაკეტაო. „რბილ ოთახში“ შეუძლებელი იყო თავის დაზიანება, კედლებზე, ჭერსა და იატაკზე რბილი ღრუბელი იყო დამაგრებული და ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი ვერაფერს მოახერხებდა. საინტერესო იყო ისიც, რომ იმ კონკრეტული ოთახის გასაღები ფსიქიატრიულის მთავარ ექიმს და კიდევ სამ ექთანს ჰქონდა ანუ კარის გახსნა ნებისმიერ მათგანს შეეძლო, მაგრამ რატომ? რისთვის? მთავარი ექიმი შიშისგან კანკალებდა, კარგად იცოდა, გოგონა უვნებელიც რომ ეპოვნათ, თანამდებობაზე აღარავინ გააჩერებდა, ხოლო თუ გოგონას საერთოდ ვერ იპოვნიდნენ, ან მას რამე დაუშავდებოდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც მარტივად დააკისრებდნენ.

„ჩემი შვილი ექვსი წლის იყო, როცა დაობლდა. ჩემი პირველი მეუღლე აგარაკზე, მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა და თავი დაარტყა. ექსპერტებმა თქვეს, რომ ეს თვითმკვლელობა იყო, მე კი მგონია, რომ უბრალოდ, გადმოვარდა. სახლში მხოლოდ ჩემი შვილი და დედამისი იყვნენ, მე მომხდარიდან ერთ საათში შემატყობინეს, მეზობლებმა დაინახეს, როგორ ტიროდა ჩემი შვილი და ეზოში შევიდნენ. როცა ადგილზე მივედი, ყველაფერი დასრულებული იყო. მგონია, რომ ჩემმა შვილმა ყველაფერი თავის თვალით დაინახა, ამის მერე დაეწყო პრობლემები, აქამდე როგორღაც ვახერხებდით შინაურ პირობებში მკურნალობას, ბოლო დროს კი ვეღარ მოვახერხეთ და იმის მიუხედავად, რომ ჩემმა მეორე მეუღლემ კატეგორიულად მომთხოვა, ბავშვი ფსიქიატრიულში არ წამეყვანა, მე სხვა გამოსავალი ვერ ვნახე. ისე, ექიმები მეუბნებოდნენ, რომ მას შინ მაქსიმუმ ორ კვირაში გამატანდნენ, რადგან უკეთესობა დაეტყო“, – განუცხადა სამართალდამცავებს მაღალჩინოსანმა.

ძალოვნებმა დედინაცვლის დაკითხვა გადაწყვიტეს, მით უმეტეს, როცა გაიგეს, რომ ის მაღალჩინოსნის პირველი ცოლის საუკეთესო მეგობარი იყო, დაქალის სიკვდილიდან ნახევარი წლის შემდეგ კი, მის ქმარს ცოლად გაჰყვა.

„ასე ზიზღით ნუ მიყურებთ. დიახ, იმ კაცის ცოლი, ვისი მეუღლეც ახლა მე ვარ, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ბავშვობაში, ავარიაში მოვყევით და ისე მოხდა, რომ ტრავმა მუცლის ღრუში მივიღე და ექიმებმა ნაღვლის ბუშტთან ერთად, საშვილოსნოც ამომაჭრეს ანუ ზუსტად ვიცოდი, რომ საკუთარი შვილი არასდროს მეყოლებოდა. ამიტომ, ჩემი დაქალის შვილს საკუთარივით ვზრდიდი. როცა ის გარდაიცვალა, ხშირად მოვდიოდი ბავშვთან, ვრჩებოდი, ვუვლიდი... მამამისს უბრალოდ არ ეცალა და ასე შევრჩი. ჰო, შევრჩი და ისიც დათანხმდა, რომ მოეყვანა ცოლი, რომელსაც არასდროს ეყოლებოდა ბავშვი, მაგრამ მის შვილს საკუთარივით გაზრდიდა. ჰკითხეთ ნებისმიერს, როგორ ვექცეოდი გოგონას და ყველა გეტყვით, რომ მასაც დედასავით ვუყვარდი“, – ეს იყო დედინაცვლის ჩვენება.

მართლაც, არა მარტო მეზობლები, არამედ ნათესავებიც ამბობდნენ, რომ ქალი ბავშვს თან ჰყვებოდა, სხვას არაფერს აკეთებდა, მისი აღზრდა-განათლებით იყო დაკავებული და გოგონაც მასზე ძალიან გახლდათ მიჯაჭვული. სწორედ ის უვლიდა გოგოს, როცა ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყო და ის ტიროდა მოთქმით, როცა მამამ შვილი ფსიქიატრიულის გზას გაუყენა. გამოძიება დარწმუნდა, რომ დედინაცვალს გერის სიკვდილი არაფერში აწყობდა. პირიქით, მას საკუთარი შვილი არ ჰყავდა, ერთადერთი, ვისზეც ზრუნავდა, სწორედ გერი იყო და მისი გაქრობა პრაქტიკულად უფუნქციოდ ტოვებდა, ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა.

„ძიების შედეგად ისიც დადგინდა, რომ გოგონას შეყვარებული ჰყავდა, რომლის ვინაობაც მალე გავარკვიეთ და შინ მივაკითხეთ. ბიჭმა თქვა, რომ შეყვარებული ნახა, თუმცა არ უფიქრია, რომ გამოქცეული იყო და ისევ უნდა შეხვედროდა. ამიტომ, ჩასაფრების მოწყობა გადავწყვიტეთ, მაგრამ ვერ გავთვალეთ – ბიჭმა რომანტიკული შეყვარებულის როლი მოირგო და სხვა ადგილზე წაგვიყვანა, მხოლოდ ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ გვითხრა, სხვა ადგილზე მოგიყვანეთ, ჩემს გოგოს არ დაგაჭერინებთო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამასობაში, ფსიქიატრიულის ხელმძღვანელობამ შიდა კვლევა ჩაატარა, არავინ იცის, რა ბერკეტების გამოყენებით, მაგრამ დადგინდა, რომ გოგონას „რბილი ოთახის“ კარი სწორედ იმ ექთანმა გაუღო, რომელმაც დაამწყვდია და ის შეტევაც წინასწარ შეთანხმებულ-გათამაშებული იყო.

„ექვსი შვილი მყავს, ექვსი! თქვენ რა გგონიათ, მთელი ცხოვრება იმაზე ვოცნებობდი, რომ გიჟებისთვის მომევლო? ფსიქიატრიული იყო ჩემი ოცნება? მაგრამ შვილებს ჭამა უნდათ. ამ გოგომ კიდევ, ოქროს უზარმაზარი ყელსაბამი შეიხსნა და მომცა, მითხრა, წავალ და ორ საათში დავბრუნდებიო. ჰო, დამიჭირეთ, ციხეში ჩამსვით, ჩემს შვილებს მერე თქვენ უპატრონებთ. იცით, რამდენი რამ სჭირდება ექვს ბავშვს? არ იცით“, – ჩვენებას კი არ აძლევდა, პრაქტიკულად, მოთქვამდა ექთანი.

ახლა უკვე სამართალდამცავები ჩაფიქრდნენ. გოგონას იმდენი ჭკუა ეყო, რომ ექთანს გაურიგდა, ოქროს ყელსაბამის სახით, ქრთამიც მისცა, გაიპარა, ისე ოსტატურად იმალებოდა, ძალოვნები ვერ პოულობდნენ. მაშინ, რა უნდოდა ასეთ ადამიანს ფსიქიატრიულში? ამ კითხვით გამომძიებლები გოგონას მამასთან მივიდნენ და მკაცრად უთხრეს, ყველაფრის გათვალისწინებით, სიმართლეს თუ არ გვეტყვით, თქვენს შვილს ვერასდროს ვიპოვითო.

„როცა ჩემი ცოლი გარდაიცვალა, შინ მისული მაშინვე შვილს ჩავეხუტე. ვიცოდი, რომ დედის უსულო სხეულს არაერთი წუთი დაჰყურებდა და მოსულიერებას ცდილობდა. სწორედ მაშინ მითხრა, დედიკო მე გადავაგდე აივნიდან, სკამზე ავიდა, მტვერი უნდა ჩამოეწმინდა და მე ხელი ვკარიო. ეს ნამდვილი შოკი იყო. რა თქმა უნდა, ხმა არ ამომიღია, თუმცა შევეცადე, ბავშვი მაქსიმალურად გამერთო. ალალად გეტყვით, ჩემი ცოლის უახლოესი მეგობრის გამოჩენამაც ძალიან გამახარა, დედასავით ჰყავდა ისიც და ამიტომ, ვიფიქრე, ამას თუ ცოლად მოვიყვანდი, დედის ინციდენტი დროთა განმავლობაში დაავიწყდებოდა. არცთუ დიდი ხნის წინ, იმავე აგარაკზე, უკვე ჩემი მეორე ცოლი ავიდა სკამზე მტვრის ჩამოსაწმენდად, იმავე აივანზე, როცა ეს შვილმა დაინახა, ერთი შეჰკივლა და გული წაუვიდა. მას მერე დაეწყო ფსიქოლოგიური პრობლემები და ფსიქიატრიულშიც ერთადერთი მიზნით მივიყვანე – ცოტა ტვინი გამოერეცხათ, რადგან ჩემმა შვილმა რამდენჯერმე თვითმკვლელობა სცადა“, – განაცხადა მაღალჩინოსანმა.

მისგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, სამართალდამცავები აგარაკზე წავიდნენ და მართალია, იქ არავინ დახვდათ, ჩასაფრება მაინც მოაწყვეს. საღამოს გოგონა გამოჩნდა, ფრთხილად შეაღო კარი, ეზოში შევიდა და გამომძიებლების ხელში აღმოჩნდა. წინააღმდეგობა არ გაუწევია, მამასთან საუბარი მოინდომა და რაღა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთს შეახვედრეს. მით უმეტეს, 6 წლის ასაკში ჩადენილი უნებური საქციელის გამო, გოგონას დასჯას არც არავინ აპირებდა და ეს არც კანონით იყო განსაზღვრული. მამასთან შეხვედრის დროს, გოგონამ ჯიბიდან ერთი მუჭი აბები ამოიღო, შენი ექიმების მოტანილ წამლებს მაინც არ ვსვამდი და აღარ გამიშვა ფსიქიატრიულში, ყველაფერი გავიაზრე, დავლაგდი და თავის მოკვლის მცდელობაც აღარ მექნებაო.

„მომხდარიდან მალევე, ის კაცი თანამდებობიდან წავიდა, აგარაკზე გადასახლდა და მთელ დროს ცოლ-შვილთან ერთად ატარებდა. ჰო, გოგონა, ბოლოს მომხდარი ამბიდან, დაახლოებით, 15 წლის შემდეგ ვნახე, მამა გარდაეცვალა და გასვენებაში ვიყავი. დედინაცვალთან ერთად იდგა, ჩუმად ტიროდა და როგორც მითხრეს, იმ პერიოდში გათხოვილი არ იყო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ქართველი მაშველები თურქეთში სამაშველო ოპერაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ. ინტენსიური და რთული სამაშველო ღონისძიების შედეგად, ქართველი მეხანძრე-მაშველების მიერ ნანგრევებში მოყოლილი სამი ადამიანია გადარჩენილი, მათ შორის, ნანგრევებში მოყოლილი ერთი მოქალაქე მაშველმა ძაღლმა აღმოაჩინა. ქართული სამაშველო ჯგუფი ქალაქ ადიამანში, სამაშველო ოპერაციას ორ სექტორზე ახორციელებს.

შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომლის მთავარი ამოცანაა ნანგრევებში მოყოლილი ცოცხალი მოქალაქეების შესახებ შემოსულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება. ამასთან, ადგილზე მოქმედებს საველე შტაბი, რომელიც ქალაქ ადიამანის ოპერატიული მართვის ცენტრთან მუდმივ კოორდინაციაში.

თურქეთში დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ქართული სამაშველო ჯგუფი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიშის განხილვაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე მონაწილეობდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის (CEDAW) მიერ საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიშის განხილვაში.

მიმდინარე წლის 8 თებერვალს, გაერო-ს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 84-ე სესიაზე, განხილულ იქნა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილი, ხოლო დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები. აღნიშნულ განხილვაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტს ქართულმა მხარემ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საანგარიშო პერიოდში, ეროვნულ დონეზე კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა სამინისტროს მიერ გადადგმულ იმ ქმედით ნაბიჯებზე, რომლებიც ემსახურებიან ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. განხილვის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ ასევე უპასუხა კომიტეტის წევრების შეკითხვებს კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გაერო-ს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის წევრები არიან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც ახორციელებენ მხარე სახელმწიფოთა მიერ „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის მონიტორინგს.

სასაზღვრო პოლიციამ საინჟინრო დაბრკოლების ღობურების მონტაჟი განახორციელა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დასაცავ მონაკვეთებზე, საკუთარი ძალებითა და რესურსით, საინჟინრო დაბრკოლების ღობურებისა და ელექტრონული სასიგნალო სისტემების მონტაჟი განახორციელა. ელექტროსიგნალიზაციის ღობურა წარმოადგენს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისას სამართალდამრღვევ პირთა გადაადგილების შესაზღუდად შექმნილ დამაბრკოლებელ საშუალებას, რომელიც ამავდროულად, სასაზღვრო სექტორს წინმსწრებად აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ დასაცავი მონაკვეთის კონკრეტულად რომელ უბანზე მოხდა სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ან დარღვევის მცდელობა. საინჟინრო დაბრკოლების ღობურები და ელექტრონული სასიგნალო სისტემები დამონტაჟდა ბათუმის, ახალციხისა და წითელი ხიდის სამმართველოების დასაცავ მონაკვეთებზე.

სახმელეთო საზღვრის დაცვის ელექტრონული ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესება აძლიერებს და კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის სახელმწიფო საზღვრის დაცვასა და კონტროლს.

გურიის პოლიციამ 2002 წლიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი პირი დააკავა

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 2002 წლიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი პირი დააკავეს.

დადგინდა, რომ 1965 წელს დაბადებული ბ.დ., ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეცვლილი გვარით ცხოვრობდა და არ გააჩნდა პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი. 2008 წელს, წყალტუბოს სასამართლომ მის მიმართ განაჩენი გამოიტანა. იგი მსჯავრდებული იყო და იძებნებოდა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ასევე, ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის. დაკავებული გადაყვანილია პენიტენციურ დაწესებულებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიას შეუერთდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაწყებულ მასშტაბურ ერთიან საკომუნიკაციო კამპანიას – „უკეთესი და უსაფრთხო გზები საქართველოსთვის“, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის EIB-ის მხარდაჭერით ახორციელებს. კამპანიის სლოგანია: „არ გაიმეორო შეცდომა“. მისი მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე და მოსახლეობის ინფორმირება საგზაო უსაფრთხოების მნიშვნელობის და რისკების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტული მიმართულებაა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღრიცხულ იქნა სიჩქარის გადაჭარბების გამო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისას დაშავებული 526 პირი, ხოლო ამავე სამართალდარღვევის შედეგად დაიღუპა 57 ადამიანი. არ გადააჭარბო სიჩქარეს!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლიდან ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარი თავდასხმისთვის ძებნილი პირი – 1988 წელს დაბადებული ბ.ე. დააკავა. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იძულების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების, ასევე, ტერორისტული აქტისა და ტერორისტული მიზნით მოქალაქეების მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტებზე, 2020 წლიდან ძებნილი ბ.ე. სამეგრელოში დააკავეს. დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგენილია, რომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარით შეიარაღებული ბ.ე. ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა და იქ მყოფი პირები მძევლად აიყვანა. ბანკის ფილიალში თავდამსხმელის შესვლის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე მოხდა სამართალდამცველების მობილიზება და დაიწყო გადაუდებელი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები. პოლიციის მიერ ჩატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად, მოხდა მძევლების გათავისუფლება. დამნაშავე მიიმალა. დაკავების ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს.

კვარაცხელიამ დაბადების დღე გოლით აღნიშნა

12 თებერვალი, იტალიის ჩემპიონატის 22-ე ტური, „დიეგო მარადონაზე“, „ნაპოლი“ „კრემონეზეს“ მასპინძლობს... 22-ე წუთი და იუბილარ ხვიჩა კვარაცხელიას ულამაზესი გოლი გააქვს... 22-ე დაბადების დღეს საკუთარ თავს ასეთ საჩუქარს უკეთებს. იტალიური კლუბი „სკუდეტოს“ კიდევ უფრო მიუახლოვდა და სასწაული უნდა მოხდეს, წელს კვარამ იტალიის ჩემპიონის ოქროს მედალი რომ არ დაიკიდოს გულზე.

სეზონის წინ ამბობდნენ, რომ კვარაცხელიასთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუ ახალ გუნდში პირველ სეზონში 5-6 გოლსა და ამდენივე საგოლე გადაცემას შეასრულებდა, თუმცა მის ანგარიშზე, 22 ტურის შემდეგ, მხოლოდ იტალიის პირველობაზე, 9 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემაა, რაც ძალიან კარგი კი არა, ფანტასტიკური შედეგია. რაც მთავარია, კვარაცხელია ძალიან ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს და ადვილი მისახვედრია, რომ სეზონის ბოლოს, გრანდების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იქნება.

„ვიცი, რომ სეზონის ბოლოს არაერთი ფეხბურთელის თაობაზე მომმართავენ. მთავარი სამიზნეები ვიქტორ ოსიმენი და ხვიჩა კვარაცხელია იქნებიან. მე არ მაქვს ვალები, ამიტომ ლიდერების გაყიდვას არ ვაპირებ. თუ უფრო დავკონკრეტდებით, კვარაცხელია ხელშეუხებელია“, – ეს განცხადება კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა გააკეთა.

და ერთიც – შეხვედრას რუსულ არხზე ვუყურე და რუსმა კომენტატორმა ქართველის გოლის შემდეგ, აქცენტით, მაგრამ მაინც ქართულად ამოთქვა – „გილოცავ, ხვიჩა!“

„ვალენსია“ მამარდაშვილს 25 მილიონადაც შეელევა

ესპანურ „ვალენსიას“ ზედიზედ 9 თამაშია, არ მოუგია და ამ 9 მატჩიდან, მხოლოდ 2 ფრე ითამაშა, 7 კი წააგო. ამის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ კლუბში ერთადერთი ნათელი წერტილი ახალგაზრდა მეკარე, გიორგი მამარდაშვილია, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდიდან აუცილებლად უნდა წავიდეს. ესპანური მედიის ცნობით, მამარდაშვილის მასშტაბებს „ვალენსია“ აშკარად ვერ აკმაყოფილებს და ქართველმა კიპერმა შეცდომა დაუშვა, როცა იანვარში კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და გამოსასყიდი თანხა 20 მილიონის ნაცვლად, 100 მილიონამდე გაიზარდა. ამ თანხის გადახდა გრანდებსაც გვარიანად ჩააფიქრებს, თუმცა...

„ვალენსია“ უკვე გასავარდნ ზონაშია და ძალიან გაუჭირდება, ამ ზონას თავი დააღწიოს. კლუბი ვალებში იხრჩობა, უკვე ხელფასების გადახდის პრობლემა უდგას და ამიტომ, სეზონის ბოლოს რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად გაყიდის, პირველ რიგში კი მამარდაშვილს. ქართველის გამოსასყიდი ფასი 100 მილიონი კი გახლავთ, მაგრამ „ვალენსიას“ ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ისინი გიორგის 25 მილიონადაც შეელევიან, რათა ბანკროტად არ გამოცხადდნენ და სეგუნდადივიზიონის ნაცვლად, უფრო ქვედა ლიგაში არ დაქვეითდნენ“, – წერს ესპანური მედია.

გიორგის გადაბირება არაერთ კლუბს სურს და მათგან ყველაზე რეალური პრემიერლიგური „ტოტენჰემია“, რომლის ამჟამინდელი კიპერი და გუნდის კაპიტანი, ფრანგი უგო ლორისი 36 წლის მოიყარა და რაც მთავარია, შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მამარდაშვილის შეძენით „მამლები“ მეკარის პრობლემას ყველაზე ცოტა, 10 წლით გადაჭრიან და არც 25 მილიონია ის თანხა, რომელსაც ლონდონური კლუბი ვერ გადაიხდის. ესპანური მედია კი იმასაც ითხოვს, პრიმერადივიზიონიდან ქართველი არ უნდა გავუშვათ და ეგებ, რომელიმე ესპანურმა კლუბმა გადაიბიროს, ასეთი მეკარის პოვნა ძნელი იქნებაო.

„ჰათაიასპორი“ და „გაზიანთეპი“ თურქეთის სუპერლიგას ჩაეხსნენ

თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატში, სუპერლიგას ორი კლუბი ჩაეხსნა. „ჰათაიასპორი“ და „გაზიანთეპი“ სუპერლიგიდან ოფიციალურად გავიდნენ და როგორც მათ მიერ გავრცელებულ წერილშია ნათქვამი, მომხდარის შემდეგ, ისინი შინ მატჩების გამართვას ვეღარ მოახერხებენ. პარალელურად, ამ კლუბებმა ფეხბურთელები და ადმინისტრაციის წევრებიც დაკარგეს, ისინი მიწისძვრას შეეწირნენ და დანარჩენების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო არ არის.

ახლა, თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია იმაზე მსჯელობს, რომ ჩემპიონატიდან მოხსნის მიუხედავად, ორივე კლუბს სუპერლიგაში ადგილი შეუნარჩუნდეს და მათ მომავალი სეზონიც უძლიერესთა შორის დაიწყონ. შეგახსენებთ, რომ „ჰათაიასპორის“ ღირსებას საქართველოს ნაკრების შემტევი, საბა ლობჟანიძე იცავს, რომელიც მიწისძვრას, საბედნიეროდ, უვნებლად გადაურჩა.

დაიმახსოვრეთ ეს სახელი – ინგა გურგენიძე

10-11 თებერვალს, სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში, ფიგურულ სრიალში საერთაშორისო ტურნირი – Dragon Trophy გაიმართა, რომელშიც ქართველი მოციგურავე, ინგა გურგენიძე მონაწილეობდა. მოკლე პროგრამის შემდეგ, ინგა მეოთხე იყო, მაგრამ თავისუფალ პროგრამაში ისე თავისუფლად და ლაღად ისრიალა, რომ ორი დღის ჯამში, პირველობა არავის დაუთმო.

27 თებერვალს, კანადაში, კერძოდ კი ქალაქ კალგარიში, იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც გურგენიძე აუცილებლად იქნება და შეეცდება, დიდი კარიერისკენ სავალ გზაზე პირველი მედალი მოიპოვოს. ის ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და ყველა აღიარებს, რომ ძალიან, ძალიან ნიჭიერია.

შერმადინი ქართული დროშით და... „ინდიანამ“ ბითაძე გაუშვა

საქართველოს ნაკრების კალათბურთელი, ესპანური „ტენერიფეს“ კაპიტანი, გიორგი შერმადინი საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებულია. ქართველის გუნდმა ფინალში „სან პაულუ“ 89:68 დაამარცხა და ისტორიაში თასი მესამედ აღმართა. წესისამებრ, შეხვედრა გიორგიმ სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მოედანზე 20 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში, თავი 12 ქულასა და 6 მოხსნას მოუყარა. როგორც წესი, თასს პირველად გუნდის კაპიტანი აღმართავს და ასე იყო ამჯერადაც – ჯილდო შერმადინს გადასცეს და მანაც თასი თავსზემოთ, საქართველოს დროშით ასწია. რადგან კალათბურთზე ვსაუბრობთ, გოგა ბითაძეზეც ვთქვათ. სამწუხაროდ, „ინდიანამ“ ქართველი კალათბურთელი გუნდიდან გაუშვა და განაცხადში ადგილი ახალწვეულს გამოუთავისუფლა. იმის მიუხედავად, რომ მოედანზე ყოფნის დროს, ბითაძე სტაბილურად და დამაჯერებლად გამოიყურებოდა, „ინდიანას“ ხელმძღვანელობამ მასთან განშორება მაინც გადაწყვიტა. ახლა გოგა თავისუფალი აგენტია და სანამ ახალ კლუბს მონახავს, „ინდიანა“ ვალდებულია, კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი (სეზონში 4.77 მილიონი დოლარი) უხადოს. ქართველის დამატების სურვილი არაერთმა ევროპულმა გრანდმა გამოთქვა, მაგრამ კალათურთელის აგენტმა ხმამაღლა თქვა, რომ ბითაძე NBA-დან წასვლას არ აპირებს და მისი მომავალი კლუბი აუცილებლად ამერიკული იქნება. შეგახსენებთ, რომ „ინდიანამ“ ბითაძე, 2018 წლის დრაფტზე, მე-18 ნომრად აიყვანა. დღემდე მან NBA-ში 170 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ, 4.8 ქულას, 2.8 მოხსნასა და 0.8 პასს აკეთებდა.

რაგბი-ევროპაზე ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვა

იმის გამო, რომ რაგბი-ევროპის ჩემპიონატს, მუდმივად საქართველოს ნაკრები იგებდა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, წესები შეეცვალათ და შანსი სხვებისთვისაც მიეცათ. ამიტომ, წელს რაგბი ევროპაზე ექვსის ნაცვლად, რვა გუნდი მონაწილეობს და ისინი ორ ჯგუფში არიან გადანაწილებული. ორი ტურის შემდეგ, ნახევარფინალისტების ვინაობა უკვე გაირკვა და თუ ჩვენი ჯგუფიდან, „ბორჯღალოსნებთან“ ერთად ესპანეთი გავიდა, მეორე ჯგუფიდან 1-2 ადგილებს პორტუგალია და რუმინეთი ინაწილებენ. საქართველო ნახევარფინალში მეტოქის ვინაობას მომავალ უქმეებზე გაიგებს, როცა მესამე ტურის მატჩები შედგება, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენი მეტოქე ან რუმინეთი იქნება, ან პორტუგალია. ესპანეთი ამ ოთხეულში ყველაზე სუსტია და ქართველებს ფინალშიც „ჭიდაობა“ ელოდებათ.

„ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ეგებ, შემთხვევით, რუმინეთს ან პორტუგალიას გაუმართლოს და ერთი შეხვედრა მოუგოს საქართველოს ნაკრებს. ამის შემდეგ, ევროპული ფეხბურთის მამები „ბორჯღალოსნებს“ ეტყვიან, რომ ექვს ერში მათი თამაში ადრეა. სხვა შემთხვევაში, უკვე ბრმაც ხედავს, რომ საქართველო ექვსი ერისთვის მზადაა და თავის შანსს ჯიუტად ითხოვს“, – წერენ ევროპელები.

„რეალმა“ მეასე ტიტული მოიგო

მადრიდის „რეალმა“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მეხუთედ მოიგო. „სამეფო გუნდმა“ ფინალში არაბული „ალ ჰილალი“ 5:3 დაამარცხა და მუზეუმი, ისტორიაში საიუბილეო, მეასე ტიტულით შეავსო. ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ კი გაირკვა, რომ გუნდის თავკაცს, კარლო ანჩელოტის სამუშაოს ბრაზილიის ნაკრები სთავაზობს და მთავარ მწვრთნელად ეპატიჟება.

„რადგან ამბავი ახმაურდა, ვიტყვი, რომ შეთავაზება მივიღე, მაგრამ უარი ვუთხარი. მე „რეალის“ მწვრთნელი ვარ და ამ გუნდში დავრჩები მანამ, სანამ არ გამიშვებენ. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და რაც მთავარია, „რეალი“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია და სხვაგან წასვლაზე ფიქრი, ჩემი მხრიდან უბრალოდ სისულელე იქნება“, – განაცხადა ანჩელოტიმ, რომლის გუნდის, უდიდესი ალბათობით, წელს ესპანეთის ჩემპიონატს ვერ მოიგებს, რადგან „ბარსელონას“ კომფორტული უპირატესობა აქვს. ამიტომ, მადრიდელები მთელ აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთებენ.

რა სარგებლობა მოაქვს ბავშვისთვის შინაურ ცხოველებთან ურთიერთობას

მე-8 გვერდიდან

– სამწუხაროდ, ცხოველის ბეწვზე ალერგია დროებითი არ არის. მშობელს შეუძლია ბავშვს ანტიჰისტამინური პრეპარატი მიაღებინოს, თუმცა ეს ხანგრძლივად ვერ გაგრძელდება. ალერგია, სამწუხაროდ, დარჩება მუდმივ პრობლემად. გამოსავალი კი ისაა, რომ მშობელმა წინასწარ იცოდეს, არის თუ არა ბავშვი ცხოველის ბეწვზე ალერგიული და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, ცხოველის რომელ ჯიშს მიიყვანს სახლში.

* * *

– რატომ უნდა ჰქონდეს ბავშვს სიახლოვე ცხოველთან და როგორ უნდა დაამყაროს პატრონმა ოთხფეხა მეგობარსა და შვილს შორის მეგობრული ურთიერთობა?

ნათია ნატროშვილი:

-კომუნიკაცია ცხოველსა და ბავშვს შორის, რა თქმა უნდა, მშობელმა უნდა დაამყაროს, ცხოველს უნდა აჩვენოს, რომ პირველია და ბავშვი, პატრონის სიყვარულში მისი კონკურენტი არაა. როდესაც ცხოველმა თავისი ადგილი იცის, ორიენტირებულია, რომ ბავშვს მოუაროს და მოუფრთხილდეს. ცხოველები უდიდეს კომფორტს უქმნიან ბავშვებს, სანაცვლოდ კი სიყვარულისა და ყურადღების გარდა, არაფერი სჭირდებათ. ეს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ცხოველს შეუძლია კარგად შეასრულოს ძიძის მოვალეობა. ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მშობელს ბავშვისთვის სათანადო ყურადღება ვერ მიუქცევია, ძაღლს კი გარკვეული მოქმედებებით შეუტყობინებია დედისთვის, რომ რაღაც ხდებოდა.

ევროპაში ცხოველის აყვანასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა აქვთ. მაგალითად, როდესაც ბავშვს თავად უნდა ცხოველი და სურს აიღოს პასუხისმგებლობა მასზე, მხოლოდ მაშინ მიჰყავთ სახლში. ეს ძალიან კარგია, რადგან პატარა ასაკიდან იცის, რომ უნდა მოუფრთხილდეს და ყურადღება გამოიჩინოს ოთხფეხა მეგობრის მიმართ. ოჯახში, სადაც ბავშვი შედის, აუცილებელია იყოს კატაც და ძაღლიც, ვინაიდან ცხოველთან სიახლოვის დროს იხსნება ალერგიული ფონი და ბავშვს უმუშავდება იმუნიტეტი.

– არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვისთვის ცხოველის ბეწვი საშიშია. ასეა თუ არა და, საერთოდ, როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ცხოველს დიდი რაოდენობით სცვივა ბეწვი?

– ძალიან მნიშვნელოვანია, ცხოველი დამუშავდეს სამ თვეში ერთხელ, რათა არა მარტო ბავშვი, არამედ, თავად ცხოველიცა და უფროსებიც იყვნენ დაცულნი. ვინაიდან ცხოველს მიწასთან აქვს შეხება, ავთვისებლობაც მეტია, თუმცა თუ ჩვენი ოთხფეხა მეგობრი მოვლილი და მოწესრიგებულია, თამამად ვამბობ, რომ პრობლემის წარმოქმნის რისკი არ არსებობს.

– რა აუცილებელი პროცედურები უნდა ჩაუტარდეს ცხოველს?

– ცხოველი სისტემატურად უნდა მუშავდებოდეს, როგორც ჰელმითებზე, ასევე გარეგან პარაზიტებზე, რწყილებზე, ტკიპებზე და ა.შ. აუცილებელია პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, რომელიც მოიცავს ჭიაზე დამუშავებას, სამ კომპლექსურ და ერთ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას. მოგეხსენებათ, აღნიშნული პროცედურები ერთჯერადი არაა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა პატრონს დროულად არ დაუმუშავებია ცხოველი და დაღუპულა ჰელმითების დიდი რაოდენობის გამო.

– ამბობენ, რომ ცხოველი ბავშვის ფსიქიკაზე დადებითად მოქმედებს..

– ამ საკითხზე კვლევაც ჩატარდა, ოქსფორდში 25 ადამიანი შეირჩა, რომელთაც სახლებში ცხოველები ჰყავდათ, ასევე, შეარჩიეს ადამიანები იგივე რაოდენობით, რომლებსაც სიახლოვე არ ჰქონდათ ცხოველებთან. მათი სამუშაო კრიტერიუმი იდენტური იყო. დაახლოებით, ოთხი თვის შემდეგ, შერჩეული ადამიანების ფსიქოტიპი შეამოწმეს. კვლევის თანახმად, ადამიანებს რომლებსაც შინაური ცხოველები ჰყავდათ, სტრესი არ აღენიშნებოდათ, ფსიქოლოგიურად სტაბილურნი, რეალიზებულნი და აქტიურნი იყვნენ. თავს გაცილებით ბედნიერად გრძნობდნენ მათთან შედარებით, რომლებსაც არ ჰყავდათ ცხოველი – მათ უმეტესობას აღენიშნებოდა მრავალი ისეთი პრობლემა, როგორიცაა, დეპრესია, სტრესი და არასტაბილური ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ცხოველი არასდროს გაძლევს დეპრესიაში ჩავარდნის საშუალებას, რადგან ამისთვის ვერასდროს იცლი. როდესაც სახლში მიდიხარ, იცი, როგორ სიხარულით უნდა შეგეგებოს, იცი, რომ გარეთ უნდა გაიყვანო, ხარ ვალდებული, მიაქციო ყურადღება და იზრუნო. შესაბამისად, ცხოველი, როგორც ბავშის, ასევე, ზრდასრული ადამიანის ფსიქიკაზე დადებითად მოქმედებს. დიდი ჯიშის ძაღლები ძალიან კარგ დაცვას წარმოადგენენ და ძალიან ეხმარებიან ბავშებს სიარულის დაწყებაშიც კი. მიმაჩნია, რომ ადამიანს ცხოვრების ყველა ეტაპზე უნდა ჰყავდეს შინაური ცხოველი. დაუშვებელია, მშობლებმა შვილებს გაუჩინონ ზიზღი და შიში ცხოველის მიმართ. ხშირად, უფროსები ბავშვებს ცხოველთან ახლოს მისვლას უკრძალავენ, ეს კი ძალიან დიდი შეცდომაა. როგორც აღვზრდით ბავშვებს, იმის მიხედვით ექნებათ სიყვარული ცხოველების მიმართ.

ალბათ, შეგიმჩნევიათ, ზოოპარკში ბავშვები ცხოველის დანახვაზე ბედნიერებით როგორ ივსებიან. ბავშვებში უსაზღვრო სიყვარულს აღვივებს იმის აღქმა, რომ რაღაც ძალიან პატარა, ფაფუკი და მოსაფრთხილებელია. სწორედ ამ დროს იცვლება ბავშვების ფსიქოლოგია, ხდება მეტად ლმობიერი და მიმტევებელი.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის ცხოველის ყოლა განსაკუთვრებულად მნიშვნელოვანია და მათთვის ფსიქოლოგები შინაური ცხოველის აყვანას სპეციალურად ნიშნავენ. როდესაც ბავშვი საკუთარ თავში ჩაკეტილია, მისთვის ცხოველის მოფერება და ყურადღების გამოჩენა ძალიან სასარგებლოა. გარდა ამისა, დიაბეტის მქონე ადამიანებისთვის ცხოველის ყოლა აუცილებელია, ვინაიდან ოთხფეხა არსებები საფრთხის მოახლოებას, ინსულინის მომატებასა და ეპილეფსიის შეტევის დაწყებას გრძნობენ.

ასევე, როდესაც ადამიანი, საკუთარი თავის ტრამვირებას იწყებს, ჭკვიანი ცხოველი წინ ეღობება, რათა ადამიანი იხსნას და საკუთარ თავს ზიანი არ მიაყენოს.

– რომელი ცხოველები არიან ანტიალერგიულები?

– დროთა განმავლობაში, ჰაერის დაბინძურებისა და გარემო პირობების გამო, ადამიანებს ალერგიული ფონი გაუვითარდათ. ცხოველებიც გაცილებით უფრო ალერგიულები გახდნენ, ვიდრე ადრე იყვნენ. ადამიანებს ალერგია ყველაზე ხშირად კატის ბეწვზე უვლინდებათ ხოლმე.

რაც შეეხება ძაღლებს, ზოგიერთ ჯიშზე, რა თქმა უნდა, ბავშვებსაც და ზრდასრულებსაც შეიძლება ჰქონდეთ ალერგია, თუმცა ეს ინდივიდუალურია.

აღსანიშნავია, რომ ცხოველებს, რომლებსაც თმა სცვივათ, გაცილებით უფრო ალერგიულები არიან. თუ ბავშვს აქვს თანდაყოლილი ალერგია, მშობელს შეუძლია აიყვანოს ისეთი ჯიში, რომლეზეც არ შეექმნებათ აღნიშნული პრობლემა. ძაღლებში ანტიალერგიული ჯიშებია – მალტეზე, იორკშირტერიერი და პუდელი, ხოლო კატებში ასეთი ჯიში სფინქსია, რომელსაც ბეწვი საერთოდ არ აქვს და შესაბამისად, ალერგიის განვითარების შანსიც არ არსებობს.

აღნიშნულ ჯიშებთან ერთად ცხოვრება ძალიან კომფორტულია, რადგან ოჯახის წევრებს არ ექმნებათ ალერგიასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბარბის თოჯინა სქოლიოზით

კომპანია Mattel-მა, რომელიც Barbie-ს ბრენდით უშვებს თოჯინებს, ამჯერად სქოლიოზიანი სათამაშო გამოუშვა. ეს ბარბის უმცროსი და ცელსია, რომელსაც გამრუდებული ხერხემლის გამო, ტანსაცმლის ზემოდან სპეციალური კორსეტი აცვია. თოჯინა 8 დოლარი ღირს და ის ონლაინ-მაღაზიებშია ხელმისაწვდომი. ასეთი სათამაშოს შესაქმნელად კომპანიამ დასახმარებლად ნეიროქირურგსა და ბავშვებში ხერხემლის დაავადებათა სპეციალისტს მიმართა. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, აშშ-ში, 100 ათასზე მეტ ბავშვსა და მოზარდს უსვამენ სქოლიოზის დიაგნოზს. ახალი ბარბის მიზანია, ბავშვები სპეციალურ მოწყობილობებს მიაჩვიონ და თავი კომფორტულად იგრძნონ მკურნალობის პროცესში. გარდა ამისა, სათამაშოების ეს ხაზი ემპათიას განავითარებს ბავშვებში და მათ სოციალურ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს.

კრიპტოდამოკიდებულება ავადმყოფობაა?

ესპანურ კუნძულ მაიორკაზე, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს, სარეაბილიტაციო ცენტრი The Balance გაიხსნა, სადაც კრიპტოდამოკიდებულებს მკურნალობენ. ერთთვიანი კურსი ამ დაწესებულებაში 75 ათასი დოლარი ღირს, რაც სულაც არაა ძვირი – ზოგიერთი პაციენტი კრიპტოვალუტით გარიგებებში ამ თანხაზე სამჯერ მეტს ერთ კვირაში ხარჯავდა. სპეციალისტების თქმით, კრიპტოდამოკიდებულების სიმპტომებია: ტყუილი, ძილის პრობლემები, კრიპტოვალუტით ვაჭრობა ჯანმრთელობის, სამუშაოსა და პირადი ცხოვრებისთვის ზიანის მიყენებით, ასევე გამუდმებული სურვილი – კრიპტოვალუტის ფასების გამუდმებული კონტროლი. მკვლევარები ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულება აზარტული თამაშებით გატაცებას ჰგავს. სარეაბილიტაციო ცენტრში პაციენტებს მასაჟებით, იოგით, სუფთა ჰაერზე სეირნობითა და ფსიქოთერაპიით მკურნალობენ. მაიორკას ცენტრი ელიტურია, კლიენტებს შეუძლიათ იცხოვრონ კერძო ვილებში, ისარგებლონ პირადი მზარეულის, კარისკაცისა და სხვა დამხმარეების მომსახურებით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ცენტრები სხვა ქვეყნებშიც მუშაობს, პირველი კი, მსოფლიოს მასშტაბით, 2021 წელს, შოტლანდიის ერთ-ერთ ციხესიმაგრეში გაიხსნა.

„მახინჯი“ ბოსტნეულით ვაჭრობენ

საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში, იმ ხილისა და ბოსტნეულის სახლში მიტანის სერვისი ამოქმედდა, რომელიც არაესთეტიკური შეხედულების გამო, მაღაზიების დახლებზე არ ხვდება. ეს არასწორი ფორმის ან არაიდეალური ფერის წვრილი პროდუქტია. ამ გზით, ფრანგები ცდილობენ შეამცირონ საკვები ნარჩენების მოცულობა. სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში საჭმლის დაახლოებით 20% იყრება. კომპანია BeneBono ადგილობრივი ფერმერებისგან ყიდულობს პროდუქტს, რომელსაც მანამდე ყრიდნენ, მერე კი მათ „ლამაზ“ ხილ-ბოსტნეულზე 40%-ით ნაკლებ ფასად ჰყიდის. ნებისმიერ შემთხვევაში, ფირმა მაინც მოგებაშია, რადგან საკმაოდ იაფად ყიდულობს პროდუქტს. სერვისის ამოქმედებიდან ერთ თვეში, მათ უკვე საკმაოდ ბევრი კლიენტი ჰყავდათ.

თირკმლის უჯრედების აღდგენა შეძლეს

მედიკოსებმა სინგაპურიდან და გერმანიიდან, პირველად მსოფლიოში, შეძლეს თირკმლის უჯრედების აღდგენა, რომელიც ქრონიკული დაავადებით იყო დაზიანებული. ამაში მათ ერთ-ერთი იმუნომარეგულირებელი ცილის დაბლოკვა დაეხმარა. სწავლულები ამბობენ, რომ ეს აღმოჩენა მათ თირკმელებით დაავადებული პაციენტების მკურნალობის მეთოდების დახვეწაში დაეხმარება. მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ცილა ინტერლეიკინი-11 არა მხოლოდ იწვევს ორგანოებზე ნაწიბურების წარმოქმნას, არამედ, მოლეკულური პროცესების მთელ ჯაჭვს იწყებს, რასაც ანთებამდე, ფიბროზამდე და თირკმელების მუშაობის დარღვევამდე მივყავართ. აღმოჩნდა, რომ ამ პროცესის დაბლოკვა ცილის ანტისხეულით შეიძლება. როცა ის შეჰყავთ ორგანიზმში, უჯრედები აღდგენას იწყებენ და ანთებაც ქრება. შედეგად, თირკმელებიც კვლავ ჯანმრთელდება.

ელექტრომანქანებს გზაზე დამუხტავენ



გერმანიაში ელექტრომანქანებისთვის სრული კომფორტის შექმნა გადაწყვიტეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ქვეყანაში გზას აგებენ, რომელზე გადაადგილების დროსაც, პირადი და საქალაქო ელექტროტრანსპორტი უსადენოდ დაიმუხტება. კომპანია Electreon, დამტენების უდიდეს გერმანულ მწარმოებელთან, EnBW-თან ერთად, ქალაქ ბალინგენში, გზის გასწვრივ, ერთკილომეტრიან ელექტრულ სისტემას შექმნის. ცნობილია, რომ ახალ ტექნოლოგიას ელექტრომანქანების დამუხტვა ორგვარად შეეძლება: დინამიკურ და სტატიკურ მდგომარეობაში. დამუხტვის პროცესი კი სრულიად უსაფრთხო და ძალიან სწრაფი იქნება.

თავსმოხვეული ურთიერთობები აიკრძალა

იტალიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბებია-პაპასთან „არასასურველი ურთიერთობების“ თავსმოხვევა არ შეიძლება. განსაკუთრებით, თუკი საქმე ეხება 12 წელზე ზევით მოზარდებს, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად აირჩიონ გარემო ურთიერთობებისთვის. ასეთი გადაწყვეტილება იტალიურმა თემიდამ ერთი ოჯახის საქმის განხილვისას მიიღო, სადაც მშობლებს თავისი ორი შვილი არ მიჰყავდათ პაპა-ბებიასთან, პირადი კონფლიქტის გამო. დედ-მამა ამტკიცებდა, რომ ბავშვებს თავად არ სურდათ მამის მშობლებთან შეხვედრა, განაწყენებულმა ბება-პაპამ კი სასამართლოს მიმართა. რამდენიმე ინსტანციამ ბავშვები დაავალდებულა, სოცმუშაკის თანდასწრებით შეხვედროდნენ ბებია-პაპას, მშობლებსაც აუხსნეს, რომ თაობებს შორის ურთიერთობების არარსებობა შვილების ფსიქიკაზე ნეგატიურად იმოქმედებდა, თუმცა დედ-მამა არ დანებდა და საქმემ უმაღლეს ინსტანციაში გადაინაცვლა. მოსამართლემ კი გადაწყვიტა, რომ ბავშვების ინტერესი ბებია-ბაბუების ინტერესებზე მნიშვნელოვანია და თავსმოხვეული ურთიერთობები აკრძალა.

ბილ გეითსს ახალი რომანი აქვს

Microsoft-ის დამფუძნებელი, 67 წლის ბილ გეითსი, 60 წლის პაულა ჰერდს ხვდება. პაულა მარკ ჰერდი – პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კორპორაცია Oracle-ის გენერალური დირექტორის ქვრივია. უკვე ერთი წელია, წყვილი განუყრელად ერთადაა და ამის შესახებ მათმა ახლობლებმა იციან, – განუცხადა ბრიტანულ პრესას ერთ-ერთმა მეგობარმა. პაულას მეუღლე 2019 წელს სიმსივნით გარდაიცვალა. იმ დროისთვის მისი ქონება 500 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. პაულა კომპანიაში ტექნიკურ ხელმძღვანელად მუშაობდა, ახლა კი ღონისძიებების ორგანიზებითა და ფილანტროპიითაა დაკავებული. წყვილი ერთმანეთს ადრეც იცნობდა, თუმცა ჩოგბურთის სიყვარულმა უფრო დააახლოვა. ცოტა ხნის წინ, ისინი ერთად დაესწრნენ „მწავნე კონტინენტზე“, მელბურნში გამართულ Australian Open-ს. ბილ გეითსი მეუღლეს, მელინდას 27-წლიანი ქორწინების შემდეგ, 2021 წელს გაშორდა.

უნიკალური გელი კიბოს წინააღმდეგ



სტატისტიკის მიხედვით, მკერდის კიბოს მქონე პაციენტების 95%-ს ოპერაცია სჭირდება ისევე, როგორც თავის ტვინის სიმსივნის მქონეებს. ამასთან, ოპერაციის მიუხედავად, დაავადება შესაძლოა დაბრუნდეს. კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულებმა წარადგინეს უნიკალური გელი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს. მის შემადგენლობაში შედის იმუნიტეტის ასამაღლებელი კომპონენტები. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, გელი დაეხმარა მრღნელებს იმუნიტეტის გააქტიურებაში და არ დაუშვა დაავადების რეციდივი. აღსანიშნავია, რომ გელი ბიოხრწნადია. ის ანელებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, რომელიც ოპერაციის შემდგომ რჩება. გელი შეიცავს ნაწილაკებს ანტისხეულებით, რომელიც ცილა CD47-ის ბლოკირებისთვისაა საჭირო. იმუნიტეტის მოსატყუებლად, ეს ცილა კიბოს უჯრედებს გამოჰყოფს. ამ ცილის დაბლოკვით, ანტისხეული საშუალებას აძლევს იმუნურ სისტემას, მოძებნოს და განადგუროს სიმსივნური უჯრედები.

რიგში დგომისთვის ფულს გადაუხდიან

პოლონეთში, სუპერმარკეტების ერთ-ერთი ქსელი საკუთარ მომხმარებლებს მომსახურებაზე დიდი დროის დახარჯვისთვის კომპენსაციას გადაუხდის. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, მაღაზიები მყიდველებს იმ შემთხვევაში უხდიან ფულს, თუ რიგში 5 წუთზე მეტხანს დგანან და თან თუ ყველა სალარო არ მუშაობს. დიდი ხნის ლოდინის გამო, მომხმარებელს შეუძლია მიიღოს 5-ზლოტიანი ფასდაკლებაც იმ პროდუქციაზე, რომლის ყიდვასაც აპირებს. ერთ-ერთი მომხმარებლის თქმით, ორი თვის განმავლობაში, ჯამში, სუპერმარკეტისგან 30 ზლოტის კომპენსაცია მხოლოდ სალაროსთან რიგში დიდხანს დგომის გამო მიიღო.

ხის საათი სოკოს სამაჯურით

ინდონეზიურმა კომპანია Mycotech-მა მსოფლიოში პირველი ეკოლოგიურად სუფთა საათი შექმნა, რომლის სამაჯური სოკოსგანაა დამზადებული, კორპუსი კი ხისაა. ყველა მასალა, რომელიც საათისთვის გამოიყენეს, გარდა მექანიზმისა, ადვილად იხრწნება ბუნებაში. სამაჯურის შესაქმნელად სპეციალისტებმა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები და სოკო-მიცელიუმი გამოიყენეს. ზრდისას, სოკოს ფესვები ძაფებივით ეხვევა ნარჩენებს, ავსებს მათ შორის სიცარიელეს და ზედაპირსაც ეფარება, ხოლო ბუნებრივი წებოვნების წყალობით, მასის შიგთავში მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. დაპრესვის შემდეგ, ის უკვე ერთ მთლიან მასალად იქცევა. საბოლოო პროდუქტი ნატურალურ ტყავს ჰგავს და იგივე თვისებები აქვს. ტრადიციულ ტყავის წარმოებაში ადამიანისთვის საშიში ქიმიური დანამატები და საღებავები გამოიყენება, ტყავის წარმოებისას გამოყენებული წყალი შემდგომ წყალსატევებში ჩაედინება და აბინძურებს გარემოს. ინდონეზიელების ინივაციურ ტექნოლოგიას კი ასეთი ნაკლი არ აქვს. მისი კიდევ ერთი უპირატესობა სისწრაფეა. სოკოების გამოსაყვანად სულ ხუთი დღეა საჭირო, ნატურალური ტყავის დასამზადებლად კი სულ მცირე, ორი წელი, ამას პირუტყვის მოვლისთვის საჭირო დრო და ხარჯებიც ემატება.

მანქანა ბრინჯით გააშრო

ამერიკელი ვიდეო-ბლოგერი რიჩ ბენუა, რომელიც ავტომობილების აღდგენის სპეციალისტია, შეეცადა, მუშა მდგომარეობაში მოეყვანა Audi e-tron, რომელიც შტორმის დროს დაზიანდა. მანქანის გასაშრობად მან 2 ტონამდე ბრინჯი გამოიყენა. ზღვის წყლით დაზიანებული ელექტრომობილი ბლოგერმა აუქციონზე შეიძინა. გასაშრობად ის სპეციალურად გამზადებულ ყუთში მოათავსა, რომელიც ვადაგასული ბრინჯით ამოავსო. მარცვლეულს ტენი ჰაერიდან რომ არ შეეწოვა, მანქანიანი ყუთი ჰერმეტულად, წყალგაუმტარი ქსოვილით დახურა. რამდენიმე დღის შემდეგ, ბრინჯი გადაყარეს, შემოწმებისას ელექტრომობილი დაიქოქა და გადაადგილებაც მოახერხა. თუმცა, შეცდომების უამრავ კოდს უჩვენებდა, რაც მის გაუმართაობაზე მიუთითებდა.

ცოლის ფასი აუქციონით გაიგო



Ebay.com-ის საიტზე, ბრიტანელი მამაკაცის უჩვეულო განცხადება გაჩნდა, რომელიც საკუთარი ცოლის გაყიდვას აპირებს. მამაკაცი გაოგნებული დარჩა, როცა მის მეუღლეზე ფასი გაიზარდა და 65 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწია – ეს „იაგუარის“ მარკის ავტომობილის საშუალო ფასზე მაღალია. განცხადებაში საიმონ ოკეინმა ცოლის ღირსებები და ნაკლი ჩამოთვალა და ნახმარ მანქანას შეადარა. მაგალითად, მას „დამაკმაყოფილებელი გარეგნობა აქვს, საბარგულზე საღებავი კარგად აქვს შენარჩუნებული“, „ის არც ისე ცუდად ამზადებს საჭმელს“. ნაკლში კი ქმარი მიუთითებს, რომ „ხშირად გამოსცემს ხმებს, რომლის ჩახშობაც მხოლოდ დამატებითი აქსესუარების შეძენითაა შესაძლებელი“. განცხადებაში ბრიტანელმა ისიც მიუთითა, რომ საქონელი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. როგორც აღმოჩნდა, ამ განცხადების მიზეზი კეინის უკმაყოფილება ყოფილა, რადგან სახლში დაბრუნებული თავს ცუდად გრძნობდა, ცოლი კი მის მიმართ საკმარის ყურადღებას არ იჩენდა.

ჰორმონი გახდომის წინააღმდეგ

ამერიკელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განსაკუთრებული ჰორმონი წინააღმდეგობას უქმნის იმ ქალებს, რომელთაც გახდომა სურთ. ლაპარაკია ჰორმონ პ«მჟ-ზე, რომელიც ენერგიის ხარჯვას აკონტროლებს არასაკმარისი კვებისა და ფიზიკური აქტივობის დროს. ექსპერიმენტებისთვის მკვლევარებმა ჭარბი წონის მქონე მღრღნელები გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ მამრობითი სქესის მსუქან თაგვებს, ფიზიკური დატვირთვისას, წონაში კლება უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე მდერობითი სქესის მსუქან თაგვებს. არადა, კვების რეჟიმი და დატვირთვა ერთნაირი ჰქინდათ. როგორც აღმოჩნდა, გახდომის ტემპებზე გავლენას ჰორმონი ახდენდა. თუმცა, მდედრებში ის მხოლოდ მადას არეგულირებდა, მამრებში კი ფიზიკური აქტივონისას დახარჯულ ენერგიასაც აკონტროლებდა. ანალოგიური სიტუაციაა ქალისა და მამაკაცის ორგანიზმებშიც.

სახლის მტვერი კიბოს იწვევს?

საყოფაცხოვრებო მტვერი, შესაძლოა, ასთმის, ალერგიისა და სიმსივნის განვითარების მიზეზიც კი გახდეს, – ასეთ განცხადებას აკეთებენ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულები. მათ ანალიზი ჩაატარეს და ქვეყნის 14 შტატში მდევარე სახლებიდან აღებულ მტვერზე მონაცემები შეაგროვეს. მკვლევარებმა მასში, პოტენციურად საშიში 45 ტოქსიკური ნივთიერება აღმოაჩინეს – კერძოდ, ქიმიური ნივთიერება ფტალატების სახელწოდებით ჰაერში პროდუქტებისგან ჩნდება, მერე კი სახლში მდებარე ნივთებზე, იატაკზე გროვდება. ადამიანებს ძალიან ადვილად შეულიათ მათი ჩაყლაპვა. ფტალატები კანის მეშვეობითაც აღწევს ორგანიზმში და ამ დროს, განსაკუთრებული რისკის ქვეშ პატარები არიან. სახლში საშიში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია რომ შევამციროთ, აუცილებელია, ჰიგიენის ელემენტარული წესები დავიცვათ.

უკოფეინო ჩაი აღმოაჩინეს

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის უამრავი სასარგებლო თვისება აქვს, მათ შორის, ორგანიზმის ანტიოქსიდანტებით შევსება და ქოლესტერინის დონის დაწევა, ის ასევე შეიცავს კოფეინს, რომელმაც შესაძლოა, შფოთვა, უძილობა და სხვა პრობლემები გამოიწვიოს. თუმცა, ახლა ჩაის მოყვარულებს სხვა ალტერნატივაც გაუჩნდათ – ჩინელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს ველური ჩაის იშვიათი სახეობა, რომელიც პრაქტიკულად არ შეიცავს კოფეინს. ეს შესაძლებელი გახდა გენის მუტაციით, რომელიც კოფეინის გამომუშავებას უწყობს ხელს. მცენარე, სახელწოდებით hongyacha, ჩინეთის სამხრეთ მთიანეთში იზრდება. ჩაის ეს სახეობა სამკურნალო კომპონენტებსაც შეიცავს – ის უებარი საშუალებაა გაციებისას, მუცლის ტკივილის დროს, ხელს უშლის სხვადასხვა დაავადების განვითარებას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ ჩაის ფოთლებიდან მიღებული სასმელი, მისი უნიკალური შემადგენლობის გამო, საკმაოდ პოპულარული იქნება.

ყველაზე პატარა მუზეუმი

ის შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში მდებარეობს. Hoosesagg Museeum – ითარგმნება, როგორც „ჯიბის მუზეუმი“ და მსოფლიოში ყველაზე პატარაა. მის მოსანახულებლად ფულის გადახდა არ არის საჭირო, არც შიგნით შესვლა მოგიწევთ, რადგან მთელი ექსპოზიცია 600-წლიანი სახლის ფანჯარაშია გამოფენილი. სახლი კი Imbergasslein, 31-ის მისამართზე მდებარეობს. ექსპოზიციის შედგენით სახლის მფლობელი მათიასია დაკავებული, მისი მეუღლე დაგმარი კი ადმინისტრაციულ ნაწილს ხელმძღვანელობს. მუზეუმის შექმნის იდეა დაგმარის გატაცების შედეგად გაჩნდა, რომელიც წვრილმან ნივთებს აგროვებდა. მუზეუმის ექსპონატები უმნიშვნელო, მაგრამ საყვარელი ნივთებია: სათამაშოები, სუვენირები, ბოთლის საცობები და სხვა.

სკოლას კრემატორიუმი გაათბობს

შვედეთის ქალაქ ვასტაფორსში, ფაგერსტის კომუნაში, ადგილობრივი სკოლის გათბობა კრემატორიუმისგან მიღებული სითბოთი გადაწყვიტეს. მიცვალებულთა დაწვით გათბება სკოლის სპორტული დარბაზი, რომელსაც ადგილობრივი ეკლესია მფარველობს. კრემაციისას ჰაერში ხვდება ვერცხლისწყალი და მტვერი. ატმოსფერო რომ არ დააბინძურონ, კრემატორიუმის გამონაბოლქვს წინასწარ აციებენ და მერე ფილტრავენ. სწორედ ამ მომენტში ატმოსფეროში ზედმეტი სითბო გამოიყოფა, რომლის გამოყენებაც შვედებმა გასათბობად გადაწყვიტეს. ასეთი პრაქტიკა საკმაოდ პოპულარული ყოფილა ქვეყანაში. ასე, მაგალითად, არსებული 60 კრემატორიუმიდან, 30 მათგანი მოჭარბებული სითბოთი საკუთარ შენობებს ათბობს, კიდევ 20 კი – სხვა დაწესებულებებსაც.

ბრაკონიერს „ბემბის“ ყურება მიუსაჯეს

ამერიკელი დევიდ ბერი-უმცროსი, ასამდე ირმის უკანონოს დახოცვის გამო, გისოსებს მიღმა ერთ წელს გაატარებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან, სულ მცირე, თვეში ერთხელ უნდა ნახოს მულტფილმი „ბემბი“. ეს შემთხვევა ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია მისურის შტატის ისტორიაში. აღმოჩნდა, რომ ბრაკონიერი ირმებს მხოლოდ თავის გამო კლავდა, სხეულს კი იქვე, ტყეში ტოვებდა გასახრწნელად. პოლიციამ დააკავა ბერის სამი ნათესავი და ერთი მეგობარი და ჯარიმის სახით, მათ 51 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა

ზამთარში მუშაობა ფსიქიკას ვნებს

ბევრი ადამიანი ზამთარში სამსახურში მანამდე მიდის, ვიდრე ინათებს და სახლში იმ დროს ბრუნდება, როცა უკვე ბნელა. რეჟიმს, რომელსაც მზის სინათლის ნაკლებობა ახლავს, სერიოზული ფსიქიკური პრობლემების გამოწვევა შეუძლია, – ამტკიცებენ ბრიტანული ორგანიზაცია Mental Health Research UK-ის სპეციალისტები. მათი განცხადებით, თუ ადამიანი ყოველდღიურად საჭირო რაოდენობით მზის სინათლეს არ იღებს, მას დეპრესია და აპათია უნვითარდება. ამან კი შეიძლება სეზონური ფსიქიკური აშლილობა გამოიწვიოს. გამოკვლევებისას, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ზამთრის თვეებში, ათიდან სამი ადამიანი გათენებამდე დგება და სახლში მზის ჩასვლის შემდეგ ბრუნდება. კვლევაში მონაწილეთა 50% შეშფოთებული იყო იმით, რომ სამუშაო ადგილზე, არასაკმარისი ბუნებრივი განათების წყარო ჰქონდა, ხოლო ყოველი მეათე კი ბუნებრივ განათებას საერთოდ მოკლებული იყო. მეცნიერები დამსაქმებლებს მოუწოდებენ, ოფისებში, სადაც ცუდი განათებაა, სინათლის დამატებითი წყაროები დაამონტაჟონ. გარდა ამისა, სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ ზამთრის ყველაზე მძიმე დღე იანვრის მესამე ორშაბათია, რომელსაც ცუდი ამინდის ეფექტი, წინა წლიდან გადმოყოლილი ვალები და მოტივაციის დაქვეითებაც ემატება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.